

ლიტერატურული გაზეთი

№ 11 2-15 ოქტომბერი 2009

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

რევაზ ინანიშვილი

მხატვარი პარიზში

(ლადო გუდიაშვილის ნაამბობი)

პარიზში რომ ვიყავი, ერთხანს ისე გამიჭირდა, ლამის ქუდი ჩამომეტარებინა ქუჩა-ქუჩა. ვიჯექი ჩემს მანსარდაში და ამოდ ვიგონებდი ნაცნობებს, რომელთაც ფულის სასესხებლად მიმესვლებოდა. თანაც, შემოდგომა იყო, გვიანი შემოდგომა – თბილისური გვიანი შემოდგომასავით ზუნზლიანი და სევდის მომრევი. წვიმდა და წვიმდა...

ხატვა არ მინდოდა. ავდგებოდი, მივდიოდი ფანჯარასთან და გავცქეროდი ჩამოჯანლულ ცას, სველ სახურავებს, ხავსმოდებულ კედლებს.

ვნახოთ, ვილაცამ დააკაკუნა. ვინ ეშმაკია-მეთქი, დაღრევილი მივედი კართან. გამოვალე და... ცოტა არ იყოს, შევცბი. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი მწვეოდა. აი, კინოში რომ გვაჩვენებენ ხოლმე ბედნიერ ამერიკელ ახალგაზრდებს, სწორედ ისეთები. სახე უბრწყინავდათ, ჩქროლავდნენ და აღარ იცოდნენ, როგორ შეეკავებინათ მოზღვავებული ხალისი. ბოდიშს იხდიდნენ და ილიმებოდნენ. მერე ქალი გამომელაპარაკა ფრანგულად – დიდად ზრდილობიანად და მოხდენილად: ჩვენ თქვენი ნა-

მუშევრები გვინახავს, ბატონო მხატვარო, მოხიბლულნი ვართ მეცა და ჩემი მეუღლეც. გავბედეთ და შეგაწუხეთ, იქნებ დაგვაჯალოთ და რომელიმე თქვენი ნახატის მფლობელნი გავგვხადოთო.

ის რომ ლაპარაკობდა, მისი ქმარი სულ ილიმებოდა და ხან მე მიყურებდა სიხარულით, ხან თავის მეუღლეს.

მე აღარ ვიცოდი, რომელი სკამი შემეთავაზებინა, რომ საღებავით არ დასვრილიყვნენ. ძალიან მინდა თქვენი სურვილის ასრულება, მაგრამ თქვენი საკადრისი არაფერი მაქვს-მეთქი, – მოვახსენე.

ეს რომ გაიგონეს, შეწუხდნენ, პატარა ბავშვებზე უმწუხარად გამომეტყველება მიიღეს. მერე – უბრალო, მცირე რამე მაინც, ბატონო მხატვარო, სულ უბრალო, თუნდაც მონასშიო.

ვიფიქრე, ოღონდ ახლა როგორმე თავიდან მოვიშორო და, ჯანდაბას, მერე რაც იქნება-მეთქი, და ვეუბნები: ორი დღის შემდეგ შემოიარეთ-მეთქი.

ხელად დაუბრუნდათ ბედნიერი ღიმილი. ქმარმა ნეტარების გამომეტყველებით მოავლო თვალი ჩემს ოთახს

და, თუმცა ინგლისური არ ვიცოდი, მაინც მივხვდი, რომ ასეთ მანსარდაში ცხოვრება ინატრა.

მოიბოდიშეს და გამომეთხოვნენ.

მე მოვბრუნდი და სანოლზე ჩამოვჯექი. მათი წასვლის შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ ვიგრძენი ჩემი უბედობა. თბილისი გამახსენდა. ავიღე ფანქარი და ალბომში მოვუსვი. დავხატე მოცეკვავე ქართველი ქალი, თითქოს იმ ამერიკელი ბედნიერი ქალის საპასუხოდ; დავხატე დალარა კინტო და საკინძეჩამოხეული ყარაჩოლედი – ესეც თითქოს იმისი ქმრის საპასუხოდ; დავხატე ვირი თბილისის ქუჩაზე და ილღიაში სახრეგაჩრილი წყნეთელი – ესეც თითქოს იმათი ნიუ-იორკის საპასუხოდ...

მერე მივეგდე და მივიძინე ნაცემი ძალივით.

გავიდა ორი დღე და ზუსტად დანიშნულ დროს გამოცხადდა ის ცოლ-ქმარი. ისევ ბედნიერნი, ხალისიანი, ატაცებულნი.

ვაჩვენე ერთი ნახატი, მეორე, მესამე... აღარ იციან, რა ქნან. ქალი ხომ ტოკავდა და ალივლივებდა იმ ჰაეროვან კულულებს, კაცი სიცილად იყო ქცეული. მერე მომუდარე გამომეტყველება მიიღეს, თითქოს ეს-ესაა, დაიჩოქებენო, და – თუ შეიძლება, რომ ყველა სურათი დაგვითმოდო.

მე გამეცინა: რის დათმობა, აიღეთ, ნაიღეთ-მეთქი.

მაშინ მამაკაცმა საქმიანად მოხოვა, მიბრძანეთ, რამდენი უნდა მოგართვათო. ჩემთვის ყველა ის ნახატი, ახლანდელ ფულზე რომ ვთქვათ, ათი თუმანიც არ ღირდა. აბა, ამაზე ხომ არ შევევაჭრებოდი.

– ინებეთ, ბატონებო, ფასზე ლაპარაკი როგორ შეიძლება, მე ქართველი გახლავართ-მეთქი.

მაშინ მამაკაცმა საბანკო ჩეკი ამოიღო, რალაც დანერა, ერთი ფურცელი ამოხია და გამომიწოდა.

მე რომ ჩემი ქართველობა დამემტკიცებინა, ჩეკისთვის არც დამიხედავს, კარებამდე მივაცილე ცოლ-ქმარი და, როგორც კი თვალს მიეფარნენ, ადგის მოვწყდი. ისე როგორ შეირცხვენდა კაცი თავს, ერთი სადილის ფული მაინც არ დაეტოვებინა-მეთქი. დავავლე ჩეკს ხელი, წავიკითხე და... ჩემს სიცოცხლეში ნამდვილი ლოცვით პირველად დავლოცე მდიდარი, მდიდარი, ბედნიერი ხალხი.

ჩეკში ეწერა, რომ ამის წარმდგენელს ათასი დოლარი მიეცემაო.

1956, 13 მაისი

რევაზ ინანიშვილის დღემდე გამოუქვეყნებელი ეს ნოველა ჩართულია მწერლის ერთ-ერთ პირად წერილში. ნოველის მოწოდებისთვის მაღლობას ეუხდით ბატონ ბაკურ სულაკაურს.

მსმ

გურამ ბათიაშვილი

სახეები და სიტუაციები

II-III

ქროსუ

აკა მორჩილაძე

ლეგენდარული ქემერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება

V

კოეზია

ჯემალ აჯიაშვილი

სონეტები

VIII-IX

პრეპილან

მირზა გელოვანის „დაბრუნება“

X-XI

რეპენსია

ნიწო სადღოპელაშვილი

გამოსვლა

XII

ინტერვიუ

ლია სტურუა

მეტაფორა ჩემთვის ის ხიბლია, რომელიც განსაზღვრავს პოეზიას

XIII





გურამ ბათიაშვილი

სახეები და სიტუაციები

თავები მეორე ნიგნიდან

მოგაპყრობდა, თავს სპილოდ გაგრძობინებდა.

— „ეს როგორ არ იცი, შე სპილო?!“
— რა, რა უნდა ვიცოდე?
ვევ! ჯემალი კი იყო ჩუმად, უხმაუროდ.

*** * ***

მამოცეპი და მოცეპებს შექსპირის ერთი ფრაზა — რა ხანია ვფიქრობ და ვერ მივხვდარვარ (თუმცა, რამდენი რამ არის ქვეყნად ისეთი, მე რომ ვერ მივხვდები, ვერ გავიგებ). „ვენეციელ ვაჭარში“ პორცია რატომ ეუბნება თავის მოახლეს, ნერისას: „უნდა გამოვტყდე, ნერისა,

ჩემი პატარა სხეული

მოქანცა ამ დიდმა ქვეყანამ“.

ვინ არის პორცია? ახალგაზრდა, ლამაზი ქალი. მემკვიდრე მდიდარი ოჯახისა, ქალწული, რომელიც ბევრი ჭაბუკის ოცნების საგანი გამხდარა, მისი გულის მონადირებს ლამობენ სხვადასხვა ქვეყნის რაინდნი, პრინცი. შექსპირისეული ქალების ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, ჯულიეტაზე ხნოვანი არც იყოს და თუ არის, ორი-სამი წლით მეტისაც იყოს, ოც წელზე ასაკოვანი ხომ არ იქნება?! იტალიის მზის ქვეშ მომწიფებული გასათხოვარი ქალი. და აი, უცებ ასეთი უცნაური ფრაზა: „ჩემი პატარა სხეული მოქანცა ამ დიდმა ქვეყანამ“. რატომ უნდა მოქანცა მისი „პატარა სხეული ამ დიდ ქვეყანას?“

ახლა ამ პიესის მეორე პერსონაჟი ვინაა. ვინ არის — შაილოკი? მამა პორციას ტოლი ქალწულისა — ჯესიკასი, რომელსაც მდიდარ ებრაელს კი უნდოდა შექსპირი, მაგრამ ცხოვრების ათასი ორომტრიალი გამოუვლია. მისი ბიოგრაფია კარგად იკითხება ანტონიოსთან საუბრისას:

ჩემო ბატონო ანტონიო,

ძალიან ხშირად

გაგილანძღვართ რიალტოზე,

ვახშს რად იღებო,

მეც მხრებს ვიჩივრდი,

მოთმინებით ვიტანდი მუდამ.

მოთმინება ხომ ნიშანია

ჩვენი მოდგმისა!

აბა, შაილოკი, ფული გვინდა. ამას

თქვენ ამბობთ,

თქვენ, ვინც ნვერებში მაფურთხებდით,

ვინც ნიხლსა მკრავდით,

თითქოსდა, ძალი გამოგვეკრათ

თქვენი ეზოდან.

აჰა, არც არის აუცილებელი შაილოკის საყოველთაოდ ცნობილი მონოლოგის („ანკესზე გამომადგება თევზის მოსატყუებლად“) ნაკითხვა. ამ ორ სტროფშიც კარგად ჩანს ვინ არის შაილოკი, ცხოვრების რა გზა გაუვლია და ამიტომაც მგონია პორციას ფრაზა: „ჩემი პატარა სხეული მოქანცა ამ დიდმა ქვეყანამ“, სულაც არ არის პორციას — მდიდარი კაცის მემკვიდრის, განებივრებული ლამაზმანის სათქმელი რეპლიკა. ეს შაილოკის რეპლიკაა. ამას აქვს უფლება ასე დაიჩვილოს — მისი გარემომცველი სამყარო სწორედ იმ დღეში აგდებს, რომ ეგ უნდა თქვას, თითქოს ეს ორი სტროფი „კომპიუტერმა გადააგდო“ პორციასაკენ.

ვიცი, ვიცი, სასაცილოა ამაზე ფიქრი, მაგრამ ასე რატომ მგონია?

*** * ***

ირაკლი აბაშიძემ კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლადო გუდიაშვილთან და ელგუჯა ამაშუკელთან ერთად რუსთაველის პრემია რომ მიიღო, „ლიტერატურულმა საქართველომ“ გადაწყვიტა, შეეკრიბა და გამოეცა ყველაფერი ის, რაც რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატებზე დაინერა. მე, როგორც ამ გახეთის თანამშრომელს, ბატონ ირაკლიზე და ელგუჯა ამაშუკელზე ნიგნების შედგენა დამევალა. ნიგნის შედგენის უამს ბატონ ელგუჯასთან და ბატონ ირაკლისთან ხშირად მიხედობოდა შეხვედრა.

ერთ დღეს ბატონი ირაკლის კაბინეტ-

ში „პალესტინა, პალესტინაზე“ საუბრისას პოეტი მეკითხება:

— არ გაინტერესებს, რატომ არი ამ ციკლში ამდენი „ხმა“, „ხმა“, „ხმა?
— როგორ არა, მაგ ციკლზე ყველაფერი მაინტერესებს!

— ძალიან, ძალიან მენადა ნავსული-იყავი პალესტინაში და დამენერა ლექსები რუსთაველზე. ეს ამბავი ისე მინდოდა, სხვას ვეღარაფერს ვუდებდი გულს. ერთ დღეს ვასილ პავლოვიჩთან (საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი) ვმუთაფობდით.

— ვასილი პავლოვიჩ — ვეუბნები — ჩვენს უზარმაზარ საბჭოეთში ხომ ამდენი რამ შეიცვალა, ხო აღარ არი ახლა ის დრო. ვინ გვიშლის, ჩვენი ნარსულის შესწავლას! რა მოხდება, რამდენიმე კაცი რომ ნავიდეთ პალესტინაში და მოვძებნოთ რუსთაველის საფლავი. ჰა, ხო იქნება გადასარევი საქმე!

კიო, კაი ამბავია მაგი, წაით აუცილებლად, მომიგო ვასილი პავლოვიჩმა და დაინყო დიდი სამზადისი, მოსკოვშიც ვეღარ გვიბრუნა უარი, ამხელა ხალხი იყო საქმეში: აკაკი შანიძე, გიორგი ნერეთელი. ვეღარაფერი გვკადრეს. დღეცა და ღამეც იმაზე ვფიქრობ, როგორ დავნერო ციკლი რუსთაველზე, სათქმელს რა ფორმა მოვუძებნო. ერთ დღეს შემოვედი აგერ, ამ კაბინეტში და ტელეფონმაც დარეკა. სერგო დურმიძე რეკავდა. ხო იცი, სერგო ვინც არი?

— კი, როგორ არა, აკადემიკოსი... — ვპასუხობ მე.

— ხო, დეიდაშვილია მაგი ჩემი, — განაგრძობს ბ-ნი ირაკლი, — სერგო მეუბნება: წუხელი სიზმარში გნახე, დანიხაურება გელისო. მე თუ კილო წინსვლა მაკლია-მეთქი, გავიფიქრე და სერგოს ვკითხე: „სად მნახე და რას ვშვრებოდი მაგ შენს სიზმარში?“ სერგი მეუბნება: „მთაზე იდექი, თუ რომელიც გორაზე, ხელი ყურს უკან გქონდა, რაცხა ხმებს ისმენდი, საცხადან მოდიოდა ეს ხმები და შენ დაჭერას ლამობდი, ნიავს აყურადებდი“. „რას, რას ვაყურადებდი?“ ჩვეკითხე სერგოს გაოცებულმა. დურმიძე მიმეორებს: „რაცხა მთაზე იდექი, თუ გორა იყო. თანამდებობას მიიღებ, ირაკლი, დანიხაურადები“. „მერე, მერე?!“ შევძახე აღელვებულმა. ის კი მეუბნება: „გორაზე იდექი და ხმებს ისმენდი, თავს კი შარავანდედი გადგა“.

— შენ რო ახლა მე თანამდებობა მომეცი, იმნაირს ვერც ინატრებს კაცი, — ვუთხარი სერგოს და ყურმილი დავდე. უკვე ვიცოდი როგორ უნდა დამენერა ლექსების ციკლი, ლექსების ფორმა ხელისგულზე მედო. ისლა დამრჩენოდა, პალესტინას ნავსულიყავ. ორ-სამ კვირაში გავემგზავრეთ კიდეც.

*** * ***

ისრაელში, საავადმყოფოს იმ პალატაში, რომელშიც მამაჩემი იწვა, ერთი მაღალ-მაღალი, მიმნდობი მზერის ხანდაზმული კაცი — მოშე — დაანვინეს. სალამოსე გამოემსაუბრა. ერთი შვილი — ქალბატონი — პოეტი ჰყოლია. მეორე დღეს ეს პოეტი ქალიც მოვიდა. მთელი დღე, ლამის ხმაამოუღებლად, სევდამორეული იჯდა.

იმ საღამოს კი მოშემ თავისი ახალი სტუმარი გამაცნო. ესეც ხნოვანი კაცი იყო, დაბალ-დაბალი, ერთობ უბრალოდ ჩაცმული. ადრეულ წლებში მოსკოვში, ისრაელის საკონსულტოში ვმუშობდით, მითხრა. საქართველოშიც ყოფილა ერთხელ, მონანიების დღე — ქიფური — სამტრედიის რაიონში, სოფელ კულაში გავატარეო. მე წარმოვიდგინე, როგორ გაატარებდა ორ-სამ დღეს კულაში. ქიფურის წინა დღეებში სულ სუფრაზე იქნებოდა, ღვინოს დააძაღლებდნენ — უარი არ გაუვიდოდა, კარგად დაათრობდნენ. ის

კაცი, ვის ოჯახშიც სტუმრად იყო, ღამეს ათევდა, კულაში ერთობ დაფასებული ოჯახის თავი იქნებოდა. იაკობი სალოცავში, ალბათ, გამოსაჩენ ადგილას იჯდა და ყოველი კულაშელი ეახლებოდა, რათა ისრაელის კონსულისათვის ხელი ჩამოერთმია.

იაკობს ვუთხარი, დღეს მაგ დაბაში აღარცერთი ებრაელი აღარ ცხოვრობს, წყნარი, უხმაურო დასახლება-მეთქი. გაიოცა, ასეთი ცოცხალი, აქოთქოთებული, ხმაურიანი სოფელი არც მინახავსო. მერე თქვა მთავარი:

— მე მოშე შარეთის შვილი ვარ.

სახელი და გვარი ერთობ ნაცნობი იყო, მაგრამ უცებ ვერ მოვიგონე, თუ ვინ იყო მოშე შარეთი. იმას კი მივხვდი, მისთვის ერთობ მნიშვნელოვანი აზრი მოაქცია ამ ფრაზაში. აჰა, მომაგონდა!

— ჰო, მოშე შარეთი, გვონებ, ბენ-გურიონის მთავრობის წევრი იყო. შინაგან საქმეთა მინისტრი?

— ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი, მერე — პრემიერ-მინისტრი...

— ჰო, ჰო... მახსენდება... — ვთქვი და ვიგრძენი: ჩემი მოსაუბრე რალაცით უკმაყოფილო დარჩა.

მოშე შარეთის შვილი — იაკობი — ორიოდ დღეში კვლავ გამოჩნდა. ცხადია, ნათესავის მოსანახულებლად მოვიდა, მაგრამ პალატაში შემოვიდა თუ არა, ჩანთა გახსნა, ნიგნი ამოიღო და გამომინოდა. „*Donnèay i i àdèy à i à à à à à à i i à à à à à*“ ენერა გარეკანზე. წინასიტყვაობა კი ჩემი ახალი ნაცნობის — იაკობ შარეთისა გახლდათ. ნიგნი შესულია მოშე შარეთის მიერ თარგმნილი ლერმონტოვის, პუშკინის, მერეჟკოვსკის, ბალმონტის, ერენბურგის, ჰაინეს, ვერლენის ლექსები.

— ეს კი არ ვიცოდი, მამათქვენი პოეტიც ყოფილა! — წამოვიძახე და დავინახე, თუ როგორ გაუბრწყინდა სახე იაკობ შარეთს. მომაგონდა ათასგან ნაკითხული მოშე შარეთის მოღვაწეობაზე, იმაზე, თუ როგორ იბრძოდა ებრაელთა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. კარგა ხანს ვიბაასეთ. ამ ბაასში მივხვდი, ორიოდ დღის წინ, თუ რატომ დარჩა უკმაყოფილო იაკობი და რატომ მოვიდა ასე მალე პალატაში ნიგნით ხელში. და კიდევ ერთხელ დავინახე წარმავლისა და მარადიულის, დღევანდელისა და საყოველთაოდ შეპირისპირება: ამ კაცის მამა ისრაელის სახელმწიფოებრიობისათვის იბრძოდა, მერე ამ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, მოგვიანებით კი — პრემიერ-მინისტრი. ე.ი. მთელი სიცოცხლე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას შეაღია. მიადნია კიდევ მიზანს, იგი ერთ-ერთი მესაძირკველა დღეს ძლიერი, წარმატებული სახელმწიფოა, მაგრამ ნიგნის წინასიტყვაობაში იაკობი წერს 50-60-იან წლებში დაბადებულმა თაობამ არც იცის, თუ ვინ იყო მოშე შარეთი. არადა, სიუზერენი იყო, მეთაური, მტრის გარემოცვაში ახლადფეხადგმული სახელმწიფოსი. დღეს კი...

ყველაფერი ეს იყო და აღარ არის, წარსულს ჩაბარდა. ამას შვილიც გრძობს, ხედავს, რომ მამამისი, ერთ დროს ღირსებით მოსილი, ფრიად ცნობილი პირი, დღეს აღარავის ახსოვს და მონახა მამის ხსოვნის გახანგრძლივების გზა — გამოსცა ლექსები, რომლებიც მამამისის სიტყვების წლებში უთარგმნია. ამით ხოლოდ მამის ხსოვნა გაახანგრძლივა? ვგონებ, არა. იმათ, ვისაც ეს პოეზია აინტერესებთ, მოშე შარეთის ნაღვანიც სჭირდებათ. იგი ადამიანების ინტერესებს დღესაც ემსახურება და თუ პიროვნება ადამიანებს რაიმე სამსახურს უწევს, კვლავაც ცოცხალია.

*** * ***

მადრიდში დაბრუნებისას ესკორიალთან შევეჩრდით — ესპანეთის სამოქალაქო ომში ორივე დაპირისპირებულ მხარეს დაღუპულთა მემორიალთან, და სიცხით მოთენთილნი (არადა, ნოემბერი ილეოდა) მივედით მადრიდში სასტუმრო „კლარიჯში“. ისე მშვიდი ვიყავი, სადილად რომ დავგვსეს, გამალებული შევუდექი ჭამას. ნასადილეს ეროსი მანჯგალაძემ თქვა:

ცხოვრება სიზმარია

ვინ იცის, ცხოვრება სიზმარია.

და თუ სიზმარი მთავარი გმირის სიზმარია და თუ ცხოვრება სიზმარია — ცხოვრება შენი სიზმარია.

ვინ იცის, ცხოვრება შენი სიზმარია, მაგრამ შენ, ვინ იცის, რა ხანია, გაიღვიძე.

და შენ, ვინ იცის, მართლა შენა ხარ და ამიტომ აბა, ვინ იცის, რა ხნის ძილი და ღვიძილი იცი. და ვინ იცის, როდის გაიღვიძე და ვინ იცის, როდის დაიძინებ და ვინ იცის, როდემდე გვეჯერება, რომ ისევ დაიძინებ და ვინ იცის, ვინ იცის, რა გვეშველება, სანამ ისევ დაიძინებ.

ან ვინ იცის, რა ხანია, ისევ დაიძინე და რა ხანია, სხვა სიზმარს ხედავ.

კითხვა-პასუხი

მტერი მიყვარდეს ჩემი თავით... და უფრო მეტად, მავანმა რომ თქვას —

რაკი თუ ერთზე იტყვიენ მწარედ, დაიძალავენ მეორე ლოყას...

არა ვილოთო, არა ვიპარო, არა ვიმრუშო, არავინ მოვკლა...

ე, ვითომყოფნის მეტი რა ვიცი.

მე გკითხე — ყოფნა როგორ ვქნა, რო ვქნა?

რწმენა

იყო დრო — ჩვენთან იყავი; დღეს სხვა დროაო — სხვა გვცდის, სხვა სცდის თავის ძალასა; ეს დრო წავაო და დაბრუნდება.

ჩვენც დავიჯერებთ — დღეს დავანევეთ ისეთს ერთმანეთს, და მერე ისე მოგვინდება და მოვინდომებთ.

ბევრიც კი არ დაგვრჩა დასაჯერებელი —

მხოლოდ ის, რომ ადრე ჩვენთან იყავი, კიდევ ის, რომ მერე ჩვენთან იქნები.

*** მიმწყდარა მბოდავ ბაგეთა შფოთი. ლოდინმა მთვარე გალიოს ლამის. ეს ღამე ქვეყნად უჩემოდ მოდის და ისე, ისე მარტოა ღამე...



ზაზა ბიბილაშვილი

სასაფლაოზე სუფევს სიო და ჟინმორეული ლაშების ლოკვა. გაეხილება სამარეს სევდა და ყელზე ყულფის მაშველი კვალი.

მიმწყდარა მბოდავ ბაგეთა შფოთი და ქარქაშს ეძებს ყვითელი ყამა. ეს ღამე ქვეყნად უჩემოდ მოდის და ისე, ისე მარტოა ღამე...

გულზე

სანამდე გინდა, ამ მყიფე ყოფას მაყმო, საზარელ ექოდ იზრიალო, რით ვერმოღლილო-ვერმოღალატე ნაღმო, საათის მექანიზმიანი.

სანამდე გინდა, ავი გუგუნის მათვლევირო მონოტონური გამის, ან სიყვარულის სანამდე უნდა მათრევირო აყროლებული გვამი!

თუმცა ამ სცენას თალხები ისე შეენის, მგონი, არყოფნის უქმე დგება; ანუ ინყება ანუ მთავრდება შენი შენელებული მოქმედება.

*** შმორი მოედო წმინდა ნაწილებს — ვერ შეუნახავს სულის ნაფლეთებს. ჯოჯოხეთისთვის მაშინ გაგწირეს, ქვეყანა როცა შემოგაფეთეს. ვერ მიატოვე მინა-ბეხრეკი, — თურმე სიცოცხლის ჯაჭვით მიგაბეს... რომ სააქაოს მზით დაიხრუკო, ვერგამტეველი ყულფში ნიკაპის; რაც ცხრაკარიან კოშკში ჩარაზე, ყოფის დაერქვას ყველას ტარიგი, — რასაც არყოფნის პირქუშ შარაზე გაიყოლებდი კელაპტარივით. ვერ გაასწარი ცოდვის კალოდან. ჩამოგამსხვრია მხრები სიმძიმემ. შენთვის ხომ ცოდვად ისიც კმაროდა, სოფლის ჩერომი რომ დაიძინე. და როცა ყოფის დაცხრება ხვატი, მკვდრის მზე ღამეში შევა ბლავილით, — პირველყოფილი ტაძარში ხატიც არ ეკიდება შეუბღალავი.

საბაჟო ცხოვრებისა ანუ დაბადება რამდენიმე წლის ასაკში (მტრედების მონათხრობი, ძირითადად)

ზედ საბაჟოს წინ ამოყლარწულ ცხოვრების ხეზე ზის სამი მტრედი და იმათზე ლაპარაკობს, ვინც ნული წლისა არ დაიბადა, ან დაიბადა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, მაგრამ მერე გადმოიფიქრა, მერე კი — უკვე ჩვეულებისამებრ.

— ჯერ ერთი, რომ სულ მთლიანად ველარაფრით შემოეტევა, — ამბობს ხოლმე პირველი მტრედი, — ანონიან და დანონიან და, გამოატანენ — არც მეტს, არც ნაკლებს — სტანდარტულ შეკვრას — ჩვილისოდენას. დანარჩენი — საკონტრაბანდე — იქით დარჩება — ოხრად და ტივლად —

კი არასოდეს ჩამოართმევენ, მაგრამ ვერც როდის გადმოიტანს აქეთ, თავისთან. (ეს საბაჟო ხომ სხვებს არა ჰგავს!.. სხვაგან სად სხედან, მაგალითად, ხეზე მტრედები, თან ისეთები, ყოველი არანულწლოვანი დაბადებისას ზუსტად ერთსა და იმავეს რომ ლაპარაკობენ?)

— ასე მოუვა ერთი ხელი, ერთი ფეხი ან ერთი თავი, — იტყვის მეორე, — ჰო, ერთი თავი — ნამოიღოს, ნამოაგოროს... გადმოიგოროს საკონტროლო-გამშვები პუნქტი და, თავისთავად, გორვა-გორვითვე გამოუყვეს პუნქტს აქეთა სანაგვე ქუჩებს... სხვებმა კი — ნული წლის ასაკში გაჩენილებმა — ბასრი თითები დაუმიზნონ და ყვირილის ჯერი მიუშვან: „აგერ, თავი, ქუჩაში მგორავი, რომელიც, ვინ იცის, რითია დაბერილი — სიტყვით ართქმულით, მელოდით მოუსმინარით, თვალის სეირით, დღემდე კიდევ უნახავითა, ლორთქო ფორმულით დედამინის განადგურების თუ თვით ზიდანის დამწრდილავი ფინტების სქემით; მაგრამ ამაზე არ ვიფიქრებთ დაფიქრებასაც, მით უფრო იმას — განვიხილოთ ვარიანტები. რა ძალა გვადგას — აკი, ქუჩაში მგორავი თავი მარტო ქუჩაში მგორავ თავად გამოდგება და ბურთადაც ვერა, თუ არ მძვინვარებს მაინცდამაინც ეთნოკონფლიქტი!“

— ასე თუ ისე, — ლაპარაკში ჩაერთვება მესამე მტრედი, — იშვება და, როგორც წლისა მნიშვნელოვნად მეტისა ნულზე, მშობიარობის ტკივილებსაც (შობილის წილს, რალა თქმა უნდა) ზედმინვენი დაიმასხოვრებს. ემასხოვრება ათ წელიწადს, ოც წელიწადს, ორმოც წელიწადს... რომელთა გასვლა, არ ეგონოს, იმას ნიშნავდეს, რომ ასაკს მისას, (ისედაცო) არანულწლოვანს, ათი, ოცი და ორმოცი წელი შეემატება. ჰე-ჰეე (ჰმ, ამას მტრედი ამბობს?!), ათი წლის შემდეგ ათი წლისაც არ იყოს იქნებ, ოცი წლის შემდეგ ოცი წლისაც არ იყოს იქნებ, ორმოცის შემდეგ და ასე შემდეგ. რატომ და — სხვები (მაგალითად) კვირობით რომ გაიზრდებიან, ეგ — თვეობით თუ, იქნებ სულაც — თვენახევრობით, ანდა ვინ იცის ან კიდევ უფრო... (ოჰ, რა ვქნა, მე კი არაფერი მომიგონია!.. თავად, ნული წლის როცა იყო, რასა ფიქრობდა?) — დასძენს ნათქვამს მესამე მტრედი.

კიდევ იტყვიან რაღაც-რაღაც ასეთ-ასეთებს. შენც გაიგებდი, რომ იცოდე მტრედების ენა. არ იცი — გული ნუ დაგწყდება — მოგვიანებით მაინც ამასვე განაცხადებს სამი ფერია — კოლუმბინა, კოლუმბარა, კოლუმბუმ — თუ სხვა სამი ნებისმიერი (ან სამი რაღას ავიჩემე?!), რომელიც კი შენს პირობით აკვანთან მოვა და მაგ თვალეზე, ჩიტზე, გვრიტზე თუ მარგალიტზე ჩატარებული ექსპერტიზით დადასტურებს, რომ არანული წლის ასაკში... ხოლო თუ მათიც ისე გესმის, როგორც მტრედების, არც ეგ იდარდო — სულ ერთია, როცა იქნება, ყავის ნალექის ქარაგმების სამლარიანი სპეციალისტიც სიტყვა-სიტყვით გაიმეორებს ნათქვამს ფრინველთა და ფერიათა; თუ, რა თქმა უნდა, პატიოსანი მკითხავია და არა მხოლოდ თამამი მეტრფე ყავისა და, კიდევ უფრო, სამი ლარისა.

ეჰ, მართალი ხარ — სად მინახავს სამლარიანი პატიოსნება, მაგრამ ერთი ისიც მითხარი — პატიოსნების არსებობის ალბათობასთან პირდაპირპროპორციულობის მაგვარ საეჭვო კავშირში ლარის სიმრავლე თუ შეგიმჩნევია?

თუმცა ეგ თემა უნდა იყოს უკვე სხვა ლექსის, რომელიც იქნებ დაწერო კიდევ, თუ არ დაგეზარა, თუ არ დაგავიწყდა და სათანადო რამეებიც თუ მოგივიდა მომდევნო ასაკში დაბადებისას.

* * *
ნაზამთრალ ზეცას მორღვეოდა ნისლის საკინძე,
ცაცხვებში სხივი ცრიატებდა - მკრთალი და ციდა
და გაზაფხულის ნაადრევი სიმამლაყინწე
მრავალჭირნახულ შემოდგომას ნერვებზე შლიდა.

მზე იღვიძებდა - ნათლიერის თვითნაბადი მზე -
და სოფლის ყველა ბინადარი - გარე თუ შიდა -
ხედავდა, როგორ ეცემოდა ნაცნობ ბაგინზე
სიკვდილმისჯილი ანგელოზი - ჩუმი და წმიდა.

ლამობდა სული - ავეტაცე, აღმად ვჭეროდი
და ზეცის კართან მივებჯინე მთის კენწეროთი;
რა ფუჭი იყო მისი ფრთონეც, მისი ფაფხურიც, -

ელავდა ცელი - სიკვდილივით ცივი და მკაცრი
და პროცესიას მიჰყვებოდა მზე გაზაფხულის,
ვითარცა უცხო სინამდვილის ფერმკრთალი ასლი...

* * *
ცვიოდა ფიფქი, ათოვებდა ბამბას ბამბაზე,
გამოსულიყო ნიავექარი ბამბის საპეტადა,
გალხენდა ქარის ჯადოქრობა და სიჯამბაზე
და გაზაფხული ყვავილობას პირზე გაფენდა.

მაგრამ მოვდექ და მოგიხელთე, ხელი დაგტაცე,
ჩაცხრა ჩქამი და ჩაილია გამწყდარ საბელთან,
დარბაზს მოხვედი სადარბაზოდ და დარბაზე
და სიხარული ზეზეურად შემოგაბერდა.

და ასე - ქარის რაფსოდია, მთვარის რომანსი
ჩაინთქა სულის უსასრულო სამაროვანში;
ხოლო გორგალი სოფლის გზებზე ისევ გორავდა

და - ციურ ხმებთან შესაწყობი და შესაძენი -
ცხოვართა ძახილს შეერწყმოდა ხმა საცხოვართა
და ყველაფერი იცრებოდა ბედის საცერში...

* * *
მორჩა, გადაწყდა ორთაბრძოლა, - სიტყვა გეძლევა,
გაცხადდა ბოლო არჩევანი, და ხელთათმანი
ჩანს, როგორც შენი ბედისწერის გაუმეცრება, -
და ჭაშნაგირის მოსაკლავად გიხმობს ფატმანი.

გასრულდა შენი უნდობლობა და გაბეზრება,
დაიხშო ბჭე და დაიგმანა ყველა საგმანი
და შესცქერ, - ქვიშის საათიდან როგორ გეცლება
ჟამი - ხელიხელ საგომანო და შესახმარი.

გეცლება ჟამი, - ასჯერ ზომე, ასჯერ გასჭერი
და მაინც მსაჯულს დაუბრუნდი, ვით განსასჯელი;
ჩადის, მზე ჩადის, იბჟუტება კანდლის კიანთი,

გიშრის სიშავე ეპარება ძვირფას ყანაოზს,
ხმობს ბედისწერა - განუყრელი დუელიანტი -
და არენაზე სისხლისფერი ლანდი ქანაოზს...

* * *
სისხლიან ქორწილს არც თავი აქვს, არც დასასრული,
სისხლის წყურვილი ეძალევა გამხმარ ოლესაც,
გამოვა ბნელში ქონდაქარი პირგაბასრული
და საყდრის კედლებს უცოდველთა სისხლით მოლესავს.

მზეს შეჭვოფინებს სიყვარული მზისკენ დაძრული,
კვლავ ემზადება საოცნებოდ, მაგრამ როდესაც
გულგანგმირული დაეცემა მისი მაჯუნნი,
გულს შეუღონებს სისასტიკე ჩვენს ბარონესას.

ქანაოზს მსხვერპლი შებორკილი, წელში წახრილი,
ფორთოხლის ბაღთან საფლავია და მიწაყრილი;
კვლავ დულაბდება გალავანი ქვად და ცემენტად,

სისხლით დატბორილ დილეგებში ისმის განგაში,
იგივე ლანდი ძრწის გულშემოყრილ ნათლისმცემელთან
და ვიღაც გმინავს მარადიულ ლუბიანკაში...

იარაშია
„ხმა ისმის შიშველ გორაკებზე, -
განდგომილთა სანყალობელი ხმა...“
იერემია წინასწარმეტყველი

როგორც სჩვევია, იქედნურად მოდგა იქედნე,
მერცხალს სიმერცხლე დაავიწყა, ქედანს სიქედნე,
ვხედნე და ვხედნე მისი სული, ჩემიც ვიხედნე
და, როგორც იქნა, სიყვარული შემოვიკედლე.

მაგრამ რასაც კი გავეკარე, ხელი დავადე, -
ვისთან ვილმე და ვივაჟკაცე, ვისთან ვიდედლე, -
ყველგან დამიხვდა სურვილების სიფუქსავატე
და სიკეთისთვის შემართული ყორნის სითეთრე.

ჟამი ჟამს ერთვის - უსინათლოს და უპატრუქოს, -
რომ ბედით გზებზე გვაცოდვილოს, გვაუბადრუქოს;
მოდის მოძულე, უსირცხვილოდ ხელეხს გვილომის,

ცოდვის ბურანში იძირება უფლის სავანე,
ქარებს მიჰყვება დაბნული ხმა გვირგვინოსნის
და საყდარს აკრთობს მლოცველების ჰარი-ჰარალე...



ჯემალ აჯიაშვილი
სონეტები

* * *
ბოღმა, რომელიც ბოროტეულ გულში ბორგავდა,
ასე მეგონა, ჩაილურის წყალთან დაგტოვე;
ჯერაც წესს უგებს სათნობას ცრემლი ორღანთა
და ისევ ახალ ღამეებზე ფიქრობს ბართლომე.

რას ვიფიქრებდი, უნდობლობა კვლავ შემბორკავდა,
ცოდვებს შემყრიდა ძველი ვაშლი, ვაშლი სარტოვე,
ფეხს გაიდგამდა ბოროტება გველის ორკაპთან
და ინროებას დაითმენდა ცის სიფართოვე.

მახსოვს ბავშვობა, - სიყვარული ძალას იკრებდა
და წილს იღებდა ანგელოსის ნეტარ ფიქრებთან;
გაქრა ის ზეცა, ანგელოსი რომ გასტიროდა,

მზე კი კვლავ ბრწყინავს სიყვარულის უკვდავ უნარად,
იღვიძებს ყრმა და იორდანეს სანაპიროდან
სიკვდილს უგალობს სიკვდილების დასათრგუნავად...

* * *
ერთოდა ველი და ფიანდაზი - ველზე ნაფენი
და დღის ნათელიც უჩვეულოდ მკრთალი მეჩვენა,
დილას თან დევდა შეღამების თანანადები,
მაგრამ რატომღაც ძნელდებოდა მისი შეჩვენა.

ვიდოდა ჟამი ნელი კვდომით და დაბადებით
და მზე, რომელიც აღსავლიდან დაღმა ეშვება,
ცხრებოდა, როგორც გადამქრალი ცრემლის ნათელი
და იმ ნათელში სიყვარულის ხატი ესვენა.

ბერავდა ქარი ნაღვლიანად და უხალისოდ
და სათნობა ქვეულებო ქვეყნის სალიზლოდ;
იქ კი, მთის გაღმა - საუკუნო ბინდის წინარე, -

სადაც მზე მიჯნავს სააქაოს საიქიოდან,
გარეუვლიდა წუთისოფელს სევდის მდინარე
და მდინარეში უკვდავების წყალი დიოდა...

* * *
წლები, რომელიც სადინარმა შესართავს შერთო,
კვლავ დიან წრიდან გასაღწევად და გასაკრეფად,
ჩამომხობილა ზეციური ბანი და ერდო
და ფრთები ჩვეულ სიმსუბუქეს გრძნობენ ნაკლებად.

ალბათ, სანთელი სასახლეში დროებით ენთო, -
გადაქცეულან სივრცეები რკინის საკნებად,
მხოლოდ შენ იცი ერთადერთმა, უფალო ღმერთო,
რა ძვირად უღირთ ანგელოზებს ეს გასაგნება.

ყოფიერების მარწუხებში უნდა გავება, -
კვდება სიცოცხლე უოცნებოდ და უკვდავება;
და სულიც - ზეცას მონყვეტილი და ქვადქცეული -

ხდება მსახური ქვეყნიური ზნის და ადათის, -
სიმკვრივეს ერთვის ხელოვნება - ბავშვის სხეული
და ღმერთის ნაცვლად ხელოსნების ხელში გადადის...

* * *
როგორ დაცხა და ჩამობნელდა, ღმერთო მაღალო,
და მთვარემ, მთვარემ - ნაომარმა, სახენალალმა -
ხელისკანკალით გამოალო ბინდის მალარო
და ბნელს მიანდო გადამქრალი ოქროს ალაღმა.

ამ წარმოდგენამ შეაცბუნა ზამთრის საღამო
და მთვარის პირზე დაბურული ნისლის დაფარნა
ალიქვა, როგორც შეთქმულება შეუსაბამო
და ზეციური მხედრობიდან მხედრის გაპარვა.

სპა კი მატულობს, სპასალარი კვლავ უმადურობს
და სიჩუმეში იღუმალი ხელი ფათურობს; -
რომ გაგვიცხადოს ხვაშიადი ცის და მნათობის,

ბნელთან ბჭობა და პაექრობა მზის და ედემის,
ვით მისტერია არამდგრადი ჩვენი ქმნადობის
და უფრო მდგრადი ზეციური შემოქმედების...

* * *
ქალდების ბაღებს დაჰყურებდა ცა უხსოვარი,
ქარებს მოჰქონდათ სურნელება ველთა, მდელითა,
რკალავდა სივრცეს კამარების ლურჯი ოვალი
და მწყემსი ბიჭი მდინარესთან თიკნებს ელოდა.

დღე კი დღეს ჰგავდა, საძოვარზე ძოვდა ცხოვარი,
უცხო სიმღერა იღვრებოდა ლერწმის ღეროდან
და ბავშვი - ხმებთან წილნაყარი, ნაუცხოვარი -
უფლის მინდვრებზე მიდიოდა, მიიმღეროდა.

ერთოდენ ფოთლები, შემოდგომაც ფოთლებს ბაძავდა
და ხალხი უხმოდ გროვებოდა ნაცნობ ტაძართან;
სხვა ჟამი იყო, სხვა წესი და სხვა თადარიგი,

ხვითო ოქროდან გამოკრთოდა, ოქრო - ხვითოდან,
ნათლის ნათებად იღვრებოდა ციდან მარხი
და იმ ნათელში მეოცნებე ბავშვი ვიდოდა...

კოეზიის დაბადება

ისევ დაიწყო შუბოსანმა შუბის ალესვა,
ღამემ - სიკვდილის მესაჭურველემ - რაღაც განიშნა,
კვლავ აგირია სათვალავი ცის ანგარიშმა
და შტერად დამდგარს უჩვეულო ჰანგი ჩაგესმა.

თითქოს მოგწყვიტა სააქაოს დღემ უმდარესმა,
გეცნო ქარის ხმა - სივრცეების სიმწუხარის ხმა -
და გადაღმიდან გამოიხმე უცხო ქარიზმა,
რომ უღიმღამო სინამდვილე მშრალზე დაგესვა,

და ფიქრის წიად - მოსდგომოდა ქვრივიც, ობოლიც
ცნობიერების ციხე-ქალაქს - შენს აკროპოლისს;
ო, როგორ ბრწყინავს სიმორეში შენი კანდელი,

რა ნეტარებით ირინდება ზღურბლი სასახლის,
როცა ხარებას ენაცვლება სხვა ჟრუანტელი
და სხვანაირი მოლოდინი წმინდა ჩასახვის...

მუზის ღალატი

ისევ ვაჯერებ უცხო ნაყენს, - რაღაც მათრობელ
ბალახბულახებს შევალე მთელი ქონება,
მაინც ვერ სძლია გულქვაობას ცის სისათნოვემ
და უბრად მრჩება ამჯერადაც ეს შთაგონება.

კვდება ფუტკარი, ყვავილები ველარ თაფლობენ,
რწმენის გორგალსაც დაუწყია ძირს დაგორება,
მზის უმწეობა ეუფლება დამზრალ დაბლობებს
და უმზეობის გალავანი ემთაგორება.

აღარც მრევლი ჩანს, მორყეულა ტაძრის პორტალი
და ნაყოფს აშთობს პატარძალი ნააბორტალი;
ღმერთო, ნეტავი მაკვდინებდე, სისხლით მღებავდე, -

რატომ დამთმე და გადამაგდე, როგორც მეტივე,
გზა დამიგმანე საიდუმლო მუცლადღებამდე
და დაბადების მისტერია შემანყვეტივე...

* * *
ქვეცნობიერის მღვრიე ფიქრო, ფიქრო ასკეცო,
სისხლის ჩქერი ხარ - მოშვებული და უონკანო,
თითქოს სულ ცდილობ, იკისკასო, იველასკესო
და შენი ფერი იღუმალი სევდით მორკალო.

გიტქვამს - ბოსხი და ბოტიჩელი ერთად დასხესო,
შენ „ორგანოც“ თქვი, ფანტაზია შეუბორკავო,
მაგრამ, როგორც ჩანს, იგულისხმე - არა სასქესო,
არამედ ჩვენი საყვარელი ბექდვის ორგანო.

ვინა თქვა ფიქრის კარანტინი, ფიქრის ემბარგო, -
ბორდელის კუროვ, - ბუზმენტებო და ბაკენბარდო;
ფრთხილად, - ეტყობა, ავხორცობა იწყებს იერიშს

და სისხლის დუღილს აფიქსირებს სხვა სიმადლიდან, -
სულ ამოხაპა სიღრმეები ქვეცნობიერის
და ცნობიერის კლიშეებში მაგრად ჩაკლიტა...

* * *

მწუხრით გათალხე ძონეული და გააფლასე, გაქრა სიღბო და სინატიფე, წახდა ღირსება, ჯვარცმულის ჩრდილი დაცემულა ნაცნობ ტაბლაზე და ძველი თასი ამჯერადაც სისხლით ივსება.

ჩანელდა ცეცხლი, - დასაბრანი უკვე დაბრანე - და როგორც გარჯა უღირსისა და გაღირნება, ცოდვილის ფლასით იმოსება ცა საატლასე და სევდის ბაღში შემოდგომის ქარი ირნევა.

ყვავილთა სურნელს შერევა კვამლი ჰაშიშთა, - ამაყი მოდგმა გადაგვარდა და გადაჯიშდა; სძინავს კორიდას, სძინავთ ხარებს, სძინავს პიკადორს,

ბეთლემის მთვარე დასთამაშებს დაღლილ რუსთაველს და დრო-ჟამს - უცხო სინამდვილის ფალსიფიკატორს - აქანებს ნავი ქარონისა და აბურთავეებს...

* * *

ქარს გაეტირა თებერვალი - ცრემლის დამდენი, მოდგა ცისკარი, მოიყოლა მარტის სიო და მოსვლის უმაღლვე აისხლიტა ლამის ლანდები, - მზისგან ნაოტი ჩვენებები მყისვე იოტა.

წლებს შეენივთა წელთაღრიცხვა - წლების გამდელი, სადაც ოდესღაც - შენიზნული შავ მიკოტად - ძველ მოგონებებს მიირქმევდა დრო წარღვნამდელი და განახლებულ სადინარში სხვა დრო დიოდა.

ვისგან მოსულხარ, ვისთან მიხვალ, ვისკენ მიტოპავ, სიყრმის სილაღე, უზრუნველო მიამიტობავ; ქვას გააცხადებს ნაბზარობა, ხეს - ნახეთქობა,

ჩქამს ქვემოთისას აჩივებს გრგვინვა ზემოთის, დღე კი მიდის და მედლეური, როგორც ეტყობა, ერთ მდინარეში ხელმეორედ ველარ შემოდის...

* * *

მოდის ეშმა და უსიცხვილოდ სახეს გვილოშნის, წელზე ფეხს იდგამს სათნოება მტრისგან ძლეული, ისევ ჩანთქმულა სიბნელეში მზე გვირგვინოსნის და საბძლის კართან დაბნეული დგას მეძნეური.

წამს ქვითავს წამი აღტაცების, წყევლის, მილოცვის, ფურცლავს და ფურცლავს მოგონებებს ძველი რვეული, ქარდაქარ ქრება უმიზნობა უგერგილო წლის და სივრცეს აკრთობს მოლოდინი ქვეშეცნეული.

რისთვის ივნე და ივახვახე, ვისთვის იბაზრე, ლაფსა და ტალახს გაერიე და გაიბასრე; წამოვა ქარი, დაუქროლებს ცივად, მსუსხავად,

დღეს, გათენებულს, შეღამება ისევ აბნელებს და დრო-ჟამს ატანს სივრცეებში აღსანუსხავად ცრემლებს და ტკივილს, სიხარულებს და აღმაფრენებს...


* * *

გტკივა, ფრანჩესკო, ისევ გტკივა, - რა გიხარია, - ღრუბლებს რომ აჰყევ მალლა-მალლა და აიზარდე, - განქარდა სულის სინატიფე, დიდი ხანია და ჯვარცმულ დღეებს შეაცვივდა ზამთრის სიზანტე.

ცას და ხმელს შუა ისევ ბინდი და ტიხარია, გაგტანჯავს მინა, ზეცის საქმეს ვიდრე იზამდე, ჯერაც მყარად დგას მღვიმეებთან ეშმის გალია და ისევ შორი მანძილია შენს ასიზამდე.

დრო კი ბოლთას სცემს, დავილაღეთ ამდენ ბოლთაში, - მოგწყურდა სისხლის ფორიაქი და აბორდაჟი; იღვრება ოქრო ცისკიდურზე - მზე დანადნობი,

ისევ გრძელდება პაექრობა ძონის და ფლასის, ღრუბლებს აჯერებს საფირონთან ლურჯი ტატნობი და უფლის თვალი დასთამაშებს მშობლიურ ასიზს...



ამერიკალ ინდიელთა მუზაუმი

ვაშინგტონი, 2004

ბრძენო შამანო, გვიპასუხე, როგორ ბრძანდები, ანდა ის კაცი, გაგვარკვიე, ვისი კაცია, მტერს რომ დაუთმო მშობლიური ეკალ-ბარდები და წყლის ტბორებით დატბორილი რეზერვაცია.

კამკამებს მთვარე სოფლის თავზე - ღმერთის კანდელი, - გახსოვს იმ კაცმა ლაშქრობისას რა დღე გვანია? - სოფლის გადაღმა გადაკარგა ჩვენი ტანდემი და მეთაურად დაგვისკუპა ვიღაც ცაცია.

ალარც თევზია მდინარეში, ალარც სათევზე, ხალხი ცოფებს ყრის გადამთიელ არამზადებზე; შორს კი მთის კიდე იმოსება თეთრი მანდილით

და შემოდგომა - გაზაფხულის ბოლო დარაჯი - ჩქერს მიუყვება კოვბოური ქამარ-ბანდივით და იკარგება აქაფებულ ნიაგარაში....

* * *

რატომ ლიზლობ და ლიტანიობ, ჩემო ლოლიტავ, - მარხვის ნაშალი სამარხვოა, ხსნილის - სახსნილო, მალე მოვალ და მომავლიდან წყველას მოვიტან, ჟამო ურცხვო და უტიფარო, ჟამო თახსირო.

ისევ დღის ნაცვლად ლამეების მაცნე მოვიდა, გარნა, რა ხელგყრი, - ვივახვახო, სულთქმა ვახშირო, კვამლის სუნი მცემს შემოდგომის სიმარტოვიდან, მაგრამ ეს კვამლიც მოშავოა და მონახშირო.

უნდა გიყვო და გიმეგობრო, მოძმედ გიგულო, სიყრმის სიღბოვ და სინატიფე - დროვ ანტიკური; ვიდრე შენი ხმა ნანგრევებში დაჩანჩალებდა,

მზემ გადმოგვხედა ლამისაგან ძუძუნანოვებს, - გაღვიძებია ამაღლეთას ზევისის ჭაღებთან და უთენია სიწუმეში თიკნებს აძოვებს...

* * *

ეხსნება ფარდა ღვთაებათა ყველა ხვაშიადს, ისმის კარებთან მლოცველების ფრთხილი კაკუნი, მარხულობს მოგვი, სამლოცველოც ამ მარხვაშია და წარსულიდან მომავალზე ბჭობს ორაკული.

შუბლს უჩარჩოებს ბნელმეტყველის შავი არშია, საყრდენს უმაგრებს უმტკიცესი რწმენის აგური, კითხულობს ყოველს, თქმულებებში რაც გაარჩია, რაც ქურუმების ხსოვნაშია შემონახული.

აჰა, სტიქსი და აქერონი, აჰა, ჰადესი, - ხვალის ხილვები ირეკლება ცის სიციხადეში; ჭვრეტ, ორაკულო, ტროლეების უკვდავ გმირობას, -

ჭორს, რომელზედაც მოენთა ლექსით იენე, - და რაფსოდების პირველყოფილ გულტბრყვილობას გრძნობს საბერძნეთის ანტიკური სიმშვენიერე....

* * *

კმარა, ულისევე, ნულა ფიქრობ შენს ითაკაზე, - ქარს გაატანე ძველი ხსოვნა წყალთა, მდელოთა, სადაც ოდესღაც მშობლიური კერა გელოდა, - კმარა, ულისევე, ნულა ფიქრობ შენს ითაკაზე.

დათმე წარსული, - ალამდრობა და სითავკაცე, - კვლავაც მოგელის ცისკრის ბრწყინვა, მწუხრის ბნელობა და ეზოს ჩრდილში მოთმინებას ქსოვს პენელოპა, - ნუ ფიქრობ, ძმაო, კვლავ ნუ ფიქრობ ძველ ითაკაზე.

ტოკავს თავი და შესართავი, ბრუნავს დრო-ჟამი და ტროის კართან გელოდება სპა აბჯროსანი; ხსოვნის ფურცლები აქერონის ქარმა დახია,

მაგრამ ჩვენს გზებზეც იგივ ნგრევა და პარტახია და ისევ მოაქეთ ჰექტორისთვის ცინკის საკაცე, - კმარა, ულისევე, ნულა ფიქრობ შენს ითაკაზე...

* * *

ფოთოლცვენის ხმა, მჭკნარი წლები, წლები ცვენადი, სადა ხარ, ჩემო ოცნებაო, საით წახველი, - ბზა და ძახველი, ისლის სახლი, გზა საძრახველი, ძველი ეზო და აჩეხილი ჩვენი ვენახი.

სიო ნელი და შემპარავი, სიო ვერავი და გზისპირ - სახლის შეფარული, ჩუმი ნაღველი, მაჭრის ღულღუნი, მთვრალი ჭინკა და საწნახელი და კიდევ - ჩრდილში მომლოდინე სხვა ფათერაკი.

ფუჭია ყველა განჩინება, ყველა ბრალდება, - ხედავ - ძილის წინ ყველაფერი როგორ მკრთალდება და რა სიციხადით იკვეთება სულ სხვა კონტური?!

მზე კი მაინც კრთის, საწადელი ისევ გვერევა, მაგრამ ქარს მოაქვს ლამეების ბნელმეტყველება და ბგერა - ჩუმი, უჩვეულო და ჩიქორთული...

* * *

შიშით ჩამკვიდრდა კიდურებში ზამთრის სიზანტე, შიშმა აოტა კაენიდან მოდგმა აბელთა, შიში ჩაგითრევს, უმსგავსობას ვიდრე იზამდე და ჯამბაზივით ჩაგაოთხებს ჩამწყდარ საბელთან.

დასაბამიდან უკუნითი უკუნისამდე შიშის თავადი მწუხარებას პირზე გაფენდა, შიშმა მოგწყვიტა დედის საშოს, შიშით იზარდე და შენი თავიც შიშნეულად შემოგაბერდა.

შიში შლის ტაძრებს - ათასწლოვან ლოდებს და კირქვებს - და კაცთა მოდგმას დასამცრობად სწავლობს და ირკვევს; და ასე მუდამ: ქანაანთან ქარი ქანაობს,

ასარგადონიც მედიდურად ასარგადონობს, მაგრამ შიში სძრავს სასიკვდილოდ უძრავ ფარაონს და სამყაროშიც საუკუნო შიში ბატონობს...

იორდანი - პეტრა - 19 ივლისი, 2008

იცხაკ დავიდს

თვლემს ბედუინი - ოცნებებში ლამის მთეველი და ცერად გასცქერს ვარსკვლავების სიალმაცერეს, - წლებს გაატანეს მეთამბოხე ნაბატველი და მიძინებულ ანალებში ხსოვნა ჩანერეს.

და მეც მათ კვალზე ლეგენდებში ფრთხილად შეველი, - ცერავს და ცერავს მათიანე ქარვას საცერეს, სარკინოზებმა გადათქერეს ლურჯი ტყე-ველი და რაც გადარჩა, ჯვაროსნებმა ხანჯლით დასერეს.

ო, ისტორიის მწველო ქარო, გზავ ოკრო-ბოკროვ, როგორ ბორავ და ქრონიკებში როგორ ბობოქრობ; კუთავს და კუთავს ქარავანი, მგონი, ეფსია,

ტყვე თავდახსნილი ებაზრება ხელბანრიანებს, კარვებს აწყდება დასიცხული ეპილეფსია და ტრამალეზზე მუჰამედის ლანდი წრიალებს...

* * *

ის მიიცვალა, - ჩამოეშვა ფარდა მშენებლის, ბნელს შეენივთა ბალდახინი მოჩარდახული, ატყდა შეჯიბრი პოეტური აღმაფრენების და ცრემლიანი სასმისების ყალბი ჯახუნე,

როტვა ენების - უსამართლო მზის დაბნელების, მკვდრის განდიდება - უსაზომო და არნახული და შეჰყურებდა თვალთმაქცობის ნაცნობ ბენეფისს ნალვლიანი და უილაჯო ჩვენი ხახული.

და ვარსკვლავეთის მგლოვიარე კატეხიზმოდან მიცვალბულის დაბნეული ხმები ისმოდა: ის გაქცეოდა სამარცხვინო გამათხოვრებას

და - სივრცეების განახლებულ წელთაღრიცხვებთან - ეგებებოდა სიწუმეში ახალ ცხოვრებას და ხვალინდელი შეხვედრისთვის ზრუნვას იწყებდა...

* * *

ცოდვას ფრთა მიეც, მდაბიორი დასვი ბატონთან, მე ღრუბელ-ღრუბელ გამაბნინე, ქარში გამთესე, ათოვდა ქოხებს, უდემდამო სიყრმეს ათოვდა და ეშმა საყდარს იკეთებდა რკინის ამწეზე.

გადამქრალიყო სიშორეში ელვა მნათობთა და მზეც, - რაკილა განამქრე, ჩრდილში ამწესე, - ბნელთან დაობდა, ქოთქოთებდა და კამათობდა და ტვირთად აწვა უდლეურთა სიგულნამცეცე.

იბჟუტებოდა ბუხრის ალი, კვამლი ზღაპართა, გალუულიყო სათნოება და სულს ლაფავდა; ხმა კი კვლავ ხმობდა, სიყვარული სხვის იკედლებდა,

კვანძს იკეთებდა საგვირისტოდ ძაფი საკვანძე, როგორც ყოველთვის, მოდიოდა მწყემსი ბეთლემთან და მტრედის ჩრდილი ეცემოდა ბავშვის აკვანზე...

* * *

ისევ ინათებს, შეტოკდება ჭავლი წყაროსი, კვლავ შეაჭირვებს ჭიანჭველას რწყილის ჯაგარი, ხელს გამოიღებს ხელსაქმისთვის ეს მაჯაგანი და მინის შვილებს წარუძღვება ცის ავგაროზი.

ისევ გაქუსლავს ულუმბოსკენ ჩვენი სალოსი, მტკვარში აშუღებს ჩაედვრებათ ჰანგი ჩაღანის, ზღვას გადმოლახავს დიდოელი ნაყაჩალარი და სანყალ ფატმანს დააცხრება გულანშაროზი.

და მზეც, - რომელიც ბოროტებას ხელ-ფეხს უბორკავს, - ისევ იმ მადლით დაადგება ნაცნობ ზუზოვკას; ქვაც კვლავ იგორებს, ქარიშხალიც ისევ იქროლებს,

კვლავ ამღერდება შემოქმედის ლალი ოცნება, ისევ ჩამოქნის რუსთაველი უკვდავ სტრიქონებს და დიონოსი ღრუბლებიდან დაეწონება...

მირზა გელოვანის „დაბრუნება“



მირზა გელოვანი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა ქართველ მკითხველს: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამოცემილი „ლიტერატურის მატრიანე“ პოეტის ნაწარმოებების ყველაზე სრული კრებული შემოგვთავაზა — „დაბრუნება“. საარქივო გამოცემაში წარმოდგენილია ლექსები, პოემა, დაუმთავრებელი ლექსები, ვარიანტები, მოთხრობები და ჩანაწერები, პირადი მიმონერა და როენა გელოვანის მოგონება ძმაზე.

კრებულში გაეცნობით მდიდარ ფოტომასალას. ნიგნის შემდგენელ-რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია იზა ორჯონიკიძე. გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ეკატერინე გრიგოლიამ. ლექსების, პროზაული ნაწარმებისა და პირადი წერილების დიდი ნაწილი პირველად დაიბეჭდა. გთავაზობთ მირზა გელოვანის დღემდე გამოუქვეყნებელ ლექსებსა და პროზაულ ჩანაწერებს, აგრეთვე — ნიგნის წინასიტყვაობას.

„ცანსავით სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი“

მირზა გელოვანი ჩვენი თაობის, ჩვენი სიყმაწვილის პოეტი იყო. მის ლექსებს ცალხაზიან, თხელ რვეულებში ან სულაც მომცრო უბის წიგნაკებში ვინერდით და ზეპირად ვსწავლობდით.

არც რომელიმე კრიტიკოსსა და არც სხვა ვინმეს, იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში კარგად ჩახედულს, დაუფკვლიანებია.

რაოდენ ბანალურადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, მაინც ვიტყვი, ჭეშმარიტი პოეტი (დიდი იქნება თუ მცირე) სხვათა დაუხმარებლად იკვლევს გზას მკითხველთა გულბამდე. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება მომავალშიც.

რითი გვხიზავდა ყმაწვილებს მირზას ლექსი? მაშინ ამაზე არავის გვიფიქრია. მთავარი ის იყო, რომ გვხიზავდა, გვაღებდა, მისანდო და უტყუარი.

სხვათაგან უფრო მოგვიანებით გამოვარჩიეთ და მისი ხიზლის ახსნასაც შევეცადეთ. გულშია, წრფელი და ლაღი, მამაკაცური კდემითა და დიდი სიყვარულით სავსე, „ცანსავით სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი“ მირზა გელოვანი დღესაც წიგნიერი ახალგაზრდობის საყვარელი პოეტია.

მისმა უდროოდ სიკვდილმა მკითხველთა არაერთ თაობას დაწყვიტა გული და აღძრა დიდი ინტერესი მისი ხანმოკლე, მაგრამ უხინჯო ცხოვრების მიმართ.

ერთგან უკვე ვწერდი, რომ ლაღო ასათიანის თაობა ბედისწერამ არ დაინდო-მეთქი. ბედის უკუღმართობა იყო ოცდაორი წლის მირზა გელოვანის სამომრად გამწესებაც. 1939 წლის ნოემბერში, ჯარში წასვლამდე, იგი მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს.

სხვებისა არ ვიცი და მე, როცა მის ფრონტიდან გამოგზავნილ ბარათებსა და ლექსებს ვკითხულობ, ყოველთვის მიჩნდება ერთი მწარე კითხვა: რატომ არავინ იზრუნა ნიჭის დასაცავად?! რატომ გაიმეტეს მირზა გელოვანი „სისხლიანი ლამისა და სისხლიანი ლოგინისათვის?!“ ხომ არსებობდა ე. წ. „ჯავშანი“ იმათთვის, ვისი საომ-

რად წასვლა მიზანშეუწონლად მიაჩნდათ მავანთ და მავანთ, რადგან დაჯავშნულთა სიცოცხლეს, მათი აზრით, უფრო დიდი ფასი ედო, ვიდრე ომის ქარცეცხლში, თუნდაც გმირულად სიკვდილს.

ამ „ჯავშნით“, რომელიც მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით მოქმედებდა, საქართველოშიც მრავალი და მრავალი იქნა დაცული და სიკვდილს გადარჩენილიც. მაშინდელ ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მეომრებთან ქართველი მწერლების სტუმრობის ამსახველი რეპორტაჟები...

ვიცი, ჩემს კითხვებზე მიზეზთა და მიზეზთა გამო პასუხს არავინ გამცემს, მაგრამ ეს კითხვები ყოველთვის განდებდა და შეანუხებდა იმას, ვისაც ურყევად სჯერა, რომ შეიძლება ადამიანი წინ აღუდგეს თვით ბედისწერასაც კი, როცა მის ირგვლივ მზრუნველი და მოყვასზე მოფიქრალი ადამიანები ტრიალებენ!

წუხილი მირზა გელოვანის უდროოდ დაღუპვის გამო უფრო მძაფრდება, როცა მის ფრონტზე დაწერილ ლექსებს კითხულობ. მრავალი ამ ლექსთაგან სანგარში, რამდენიმე კი (მათ შორის უკანასკნელიც) ბრძოლაში გასვლის წინ არის დაწერილი. „ბრძოლის წინ“ ასეთი მიწაწერი აქვს ამ სტრიქონებს და ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვდილი ძალიან ახლოსაა! საშინელიც არის და ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენი მირზას ფრონტული ყოფა, მაგრამ ყმაწვილი კაცი მაინც ჯიუტად უძალიანდება არსებულს, ფიქრობს, წუხს, იხსენებს და ოცნებობს კიდევ და, რაც მთავარია, წერს მონატრების სევდით სავსე ლექსებსა და ბარათებს, წერს და აგზავნის შინ, საქართველოში, სადაც ყველა ახლობელი და საყვარელი ადამიანი ეგულება.

შინ გამოგზავნილ ლექსებშიც და ბარათებშიც იგი აცოცხლებს მშობლიურ მიწა-წყალს, ბავშვობის დაუფიქრებელ დღეებს, თავისსავე გრძობებსა და განცდილს და თავადაც მხოლოდ ამ მოგონებებით ცოცხლობს. ასე ებრძვის იგი სიკვდილის შიშსა და ყოველწამიერ უბედურებას.

საოცარი და გასაკვირია მისი მხნეობა და სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად გაწეული ძალისხმევა, მაგრამ ჩანს, რომ გაძლებასაც აქვს საზღვარი და ხანდახან

გარდაუვალთან სიახლოვეს მთელი ტანით გრძნობს:

„თოვლი მოვიდა, ო, არა თეთრი, სულ სხვანაირი თოვლი მოვიდა, მგონია, მოხვალ, შენ მოხვალ ერთი და თოვლის სპეტაკ კუბოს მომიტან. დამმარხე თოვლში, დამმარხე ქარში, თორემ მომბეზრდა მინა ბოროტი. იჩქარე, ვიდრე თოვლივით წავში შენზე ფიქრებს და შენზედ მოლოდინს...“

საუკეთესო მკითხველიც კი ვერასოდეს შეიგრძნობს მთელი სისავსითა და სრულად ამ სტრიქონებში დავანებულ ძრწოლასა და რაღაც საშინელის მოახლოებით მოგვირე, თავზარდამცემ განცდას.

ეს სტრიქონები ბრძოლის წინ, 1944 წლის ივლისშია დაწერილი და მირზა გელოვანის უკანასკნელი ლექსიც ეს არის...

საქართველოს კომკავშირმა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დიდი ექსპლუატაცია გაუწია მირზა გელოვანის სახელსა და შემოქმედებას. ცენზურამ და საგანგებოდ შერჩეულმა (უპასუხისმგებლო!) რედაქტორებმა პოლიტიკური კონიუნქტურის შესანარჩუნებლად ბევრჯერ გადააკეთეს და „შეასწორეს“ მისი ტექსტები...

წინამდებარე საარქივო გამოცემით მირზა გელოვანის ნაწარმები პირველად წარდგება მკითხველი საზოგადოების წინაშე ისეთი, როგორც პოეტის ხელიდან გამოვიდა.

მირზა გელოვანი ბელორუსიაში, მდინარე დასავლეთის დვინის გადაღახვისას, 1944 წლის ივლისის თვეში დაიღუპა...

ისე მოხდა, რომ ეს მცირე წინათქმა მისი გარდაცვალების 65 წლისთავეზე დაინერა... ალბათ, ღვთის ნება თუ იყო ასეთი...

31 ივლისი, 2009

P. S. 1975 წელს მირზა გელოვანს (სიკვდილის შემდეგ) შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

იზა ორჯონიკიძე

თვით-გამართლება

არც ერთი ლექსი მე არ დამინერია, ან სად მოვიცილიდი მისთვის. ლექსებს სწერს ჩემი ორეული, სარკიდან რო მიცქერის ხოლმე — მუდამ ექსტაზ მორეული. მე: ტლანქი ვარ და გულიც ტლანქი მაქვს, როგორც: არავის.

ის: კი ნაზია: როგორც არავინ. მე: სახლიცა მაქვს და ეზოც. მას: კი არც თავ-შესაფარი კარავი.

ჩემი: თვალეზი ამღვრეულია და ბოროტი. მისი: ლურჯი და სათნო. მე: სიმღერა არ ვიცი, არც ჩემი საქმეა.

იგი: კი მღერის მუდამ. მე: თოფი მიჭერია სანადიროთ. მას: კი კალამი რითმებისათვის. და იცოდეთ ყველამ დღეის იქით, რომ: არც ერთი ლექსი არ დამინერია

მე: რეზო გელოვანს, და იგი: მირზა გელოვანია.

მოხუცი მიაგობა

მიაგობდა მოხუცი, ოხვრითა და ხველებით, ჩიფჩიფებდა სიბერე, როგორც ღამე ველებში. გარედ ქარი ხაოდა გამოუცნობ ბგერებით, ტყის ხმაური ისმოდა ბუების სიმღერებში, ეხლაც მათმა ძახილმა გორებს გადაუარა: „თევდორე... თევდორე... იპოვნეო თუ — არა??!!“

და მოხუცმა მიაგობ... ო, ბევრი რამ ძალიან, ქაჯების მონატაცმა გოგომ, ოქროს თმიანმა, სატრფოს დაშორებულმა, შხამი როგორ დალია, როგორ გადაარჩინა ანგელოზმა ფრთიანმა. ხმამ ქარის მონატაცმა თავზე გადაგვიარა: „თევდორე... თევდორე... იპოვნეო თუ არა??!!“

კვლავ ვუსმენდი გულდაგულ, გარედ ღამე ზმოდა, ბაყაყების ყიყინი მოისმოდა შორიდან, ციმციმებდა ვარსკვლავი, თითქოს რამეს სტყუოდა, მთვარე იმზირებოდა აყუდებულ გორიდან, მოხუცს ძილმა მოსტაცა, მოურჩენი იარა, ბუები კვლავ სტიროდენ: „იპოვნეო თუ არა?..“

შენოა ვერ გასნიეს, თუმცა ბევრი მოვიდა

ახლაც, შუა ღამეში, შენი ნახვა მომინდა, თითქოს გული მტკივანი შემიჩერდა ბუდემში. შენოა ვერ გასნიეს, თუმცა ბევრი მოვიდა, ზოგი შენზედ სათუთი, ზოგი შენზედ უხემი.

რომ შეგეძლოს გაგება, თუ რარიგად ვენამე, შენვე შეგძულდებოდა შენი ტლანქი მოქცევა, როგორც სხვა დროს, ამ წუთშიც წამებაა ეს ღამე და ძნელია გრძობების ვნების ღამეში მოთრევა.

მაგრამ ახლაც ალერსი სხვაგან უნდა ვიყიდო, თორემ შენ არ მოდიხარ და მომწყინდა ლოდინი, ჩემი ბრალი არ არის, გოგო ცეცხლ-მოსაკიდო, სხვას დაუგე საშენოდ შენირული ლოგინი.

სუსტი ზარეკი

მე მომესმა, მხოლოდ მე და მხოლოდ მე, თქვენი ზარის სუსტი ახმაურება, ჩემს თვალებთან აელვარდა იგი მზე, მცნეს ჰანგებმა არა აქაურებმა, მაგრამ ხმები თითქოს იკარგებინა.

ახლოსა ვარ და იმიტომ გავიგე თქვენი ლოცვა შუალამის მთეველი, მარტოდ ვრჩები და მეც უნდა წავიდე, მომეწყინა მუწევი სასუფეველი, სადაც მხოლოდ მდუმარე კედლებია.

არ ვიდარდებ, წყლები თუ წალეკავენ თქვენს საყდრებს, მე ამ წუთში რომ ვიგონებ, ეგ ზარები ისე სუსტად რეკავენ, რომ ვერავინ კარგად ვერ გაიგონებს და მლოცველნიც შემოიფანტებიან.

დასანავაპი კალმასი

მწვანე ფოთოლს დაგამგვანე, ვერ მოგწყვიტე სამწუხაროდ, უშნოობა დამაბრალებ, ბალლი ხარო. დღეს კი ვნატრობ, დასახრჩობად მომახვია შენი თმები, კალმასი ვარ, ცეცხლზე ცოცხლად დამაგდეს და ვიხრუკები.

სხივების ქრობა

სხივები სხივოსნობენ, ვარდებიც არიან, შენ კი ძველებურად, აღარ გაიარა. წუხელ შენმა თვალმა ღამე გაათია. ვაიმე!.. ვაიმე!.. ვაიმე!.. ეს რა დაგმართვია. ცაც ჩამუქებულა, გზებიც ინაქრება, ჩაქრა შენი ბედი... შენი სხივიც ქრება.

* * *

გალიმებით შევლას გთხოვდი, თვალის შენთვის დავადონე, მე ლექსებით გეძახობდი, შენ დუმლით გამაგონე.

დავლილი ფრინველი

ნეტავ, ვის შეეწიოს ეს ლოცვა საკვირველი, ნეტავ, ვინ დაიჩემოს ვერხვი შენთვის დახრილი? ჩემს სახლს გადააფრინდა უბინაო ფრინველი, აბუზული, სველი და საცოდავი დავლილი. მეც გეძებდი წვიმაში, მაგრამ გზა ამერია, ბევრს სახლს გადაუფარე, შენსას მივუღალერსე, არ მელოდო, იფიქრე: მოჩვენება ბევრია, ალბად, სხვას მივამზავსე... ალბად, გზა ამერია.

* * *

ნელი, ნელი, ჩემო ნელი!
— ჩემო სულის კენესავ,
შენთვის შაირებსა ვმღერი,
ჩემთვის დანას ვლესავ.
გოგო! შენგან დასტურს ველი,
შეგაფარო ტყესა.

ქარიანი ღამე

ცაზე ხოხობს გაუშლია ბუმბული, დღე დააღრჩვეს ჭვარტლის-ფერი სუდარით, მალე მტკვართან შეჩერდება მუდარით ნაბიჯები ბარბაცა და ქურდული. ეს გული კი უჭკნობი ვარდნარია, ვინც მთვრალია, ჭარბი გრძნობა ალონებს, სილამაზე ჩვენი ნაბოღვარია, პოეტებო, ნეტავ, ვინ გაგვაგონებს. მზე რომ ათბობს, სიყვარულის ბრალია, შენს ფანჯარას ფარდა თუ აფარია, რომ მოვიდე და მალულად გიმზირო, რომ შენს ჩრდილთან ჩემი ბედი ვიტყვი, რომ გვიამბო, რა სასტიკი ქარია...

* * *

საით ნავიდეს — გზა ბევრი მდის, ყველგან შიშია და ყველგან ზაფრა. სად ნავა ბავშვი? — კითხულობს ბინდი და შეუმჩნეველად ეშვება დაბლა. ეშვება ბინდი — მსუბუქი ბინდი და დასავალზე მწვანისან ერთვის, სად ნავა ბავშვი? — კრძალვით და რიდით იმეორებენ ჩრდილები თეთრი.

* * *

მოვედით — ძველი სახლის კარებში იდგა ის, როგორც უცხო მადონა, ფართოდ გაღებულ ცისფერ თვალებში ელავდა ვნება უკაბადონო. როგორ მედიდურ იერს ღებულობს ოდნავ ნაცნობი მისი პროფილი, მე უკვე მისით ვარ შეპყრობილი და დაძახებას ვეღარ ვგებულობ. და მოგონებას გაეკრა მძივად, ერთ დროს მინდორში ვიყავით ერთად, მოულოდნელად მოვიდა წვიმა, მოვიდა წვიმა და შეგვაერთა. მზე დასავლეთით სხივებს ართავდა, იჯექ სუფრის და ქალის პატრონი და როცა ერთად დავრჩით მარტონი, ჩვენს შორის თითქოს რაღაც გათავდა. მზე დასავლეთით დაეცა რული, თითქოს წარსულშიც არა იყო რა, იმ ღამეს ქალმა მოგპარა გული და ჩემთან მზითვად გამოიყოლა.

* * *

ინვა წარაფი, ჩვენ წარაფს იქით თოვლში ვინეკით ჯარისკაცულად და ერთადერთი ვიცოდით ფიქრი იმაზედ, რასაც ჰქვია წარსული.

იმაზედ რასაც წარსული ჰქვია, გეტანჯავდა ფიქრი ისე უნებოდ, ჰქონდა მიზანში ყველა ჩვენს ტყვიას წარსულთა დღეთა გამობრუნება.

ბედურული გული

გაფრინდება ბედურა და როგორც ფრთები ღამის ეფარება თვალთა ხედვას აბურძგნული ფრთები, ვრჩები, თითქოს ხასიათი ველურ მომთაბარის, დარდითა ვარ შეჭმული და კვლავ დარდითა ვთვრები. შენ ცუდი ხარ, ეს ვიცი და ვერ კი გამიგია, რაღად მიყვარს შენი სახის უცხო ელვარება. თუმცა გულისთვის სასიკვდილოდ მახე დამიგია, მისი ბედურული ფეთქვა მაინც მებრალბა.

* * *

ჩვეულებრივად წასულა ხანი, მას შემდეგ ბევრჯერ ამდგარა ქარი, კლდეზედ ნანგრევი ჰყუდია ოდენ და არაფერის მეტყველი თქმანი. ცურავს დუმილი, დაჭერას ელის, რომ იმედივით დაეტყოს ხაზებს. შორს კი უბრალო ბუღბუღი მღერის ოდნავ დატუქსულ, უბრალო ხმაზე. მოღელავს ხევი, მწვანე ლოდებს რევს წყალი თუ ზეცა ძირს დანაფენი, ბუნება ყვავის, როგორც ოდესმე — დრო კი წასულა, სხვა არაფერი. კომპის ნანგრევზე სარკმელი ერთი — ღიად დამრჩალი ციკლოპის თვალი — მოსჩანს და, როცა ელვა და ქარი ციდან წამოსულ ნიაღვარს ერთვის, მთელდება კომპი, ელვების ხმალი დაღენავს შავი ღრუბლების ურმებს, მოითხოვს შევლას სარკმელთან ქალი და გაშლილ თმებით მიფრინავს თურმე.

* * *

ის წინად იყო, მან იგრძნო უცებ, რომ ბავშვი, შვილი, არ არის მისი, რომ არ ჰქონია ამ ოჯახს ფუძე, ცოლიც მუდმივად ყოფილა სხვისი. ვაგლახ, რას იზამ, წამოდგა იგი ფერ-დაკარგული და მოცახცახე, ბავშვს დაუძახა და თითქოს მშვიდი იმეორებდა პატარას სახელს. ვაგლახ, რას იზავ, ღიმილის მჩენი ბავშვს ნელი ბიჯით მიჰყვა კარამდის, უთხრა, სტუმარი ჰყოფილხარ ჩემი, ან კი მშვიდობით, ან და მარადის. ჭიშკრისკენ ნელა დაიძრა ბავშვი მტკიცე, ამაყი და დამცინავი, თრთოდა ნიავი ქოჩორა თმაში, და უცნაურად განაბულ თვალში სჩანდა იმედი თავგამწირავი. ეს შენ იყავი, მეფე რამდენი ნახე აუგი, გიყვარდა — გძულდა და უამრავი ცუდის ჩამდენი ბუნებით სათნო იყავი მუდამ. მიტომ მიგიღეს და შენი გზანი, შენი ცხოვრების სივრცე და განი შესცვალეს, რათა ხანი რომ ნავა, შთამომავალმა მოგიგონოს და პატივისცემით დახაროს თავი.

* * *

მთაში თქვენმა ხმამ სმენას უნია, გინდათ, მეც თქვენებრ ქარებს შევება? უფრო ძნელია კაცში მოხდეს რევოლუცია, ვიდრე რუსეთის აყირავება. ტყვილად ირჯებოდით, მეგობრებო, მე ვრჩები ისევ, მე ვრჩები ისევ თქვენი საქმის მტრული მდევარი და მაღალ მთაზე მარტოდ მარტო ღამე მთევანი, ამ საუკუნეს ფაშატივით მოვუგრებ კისერს.

* * *

მე იქ არა ვარ და ვიცი, ღამით რაც აზმორებს ტფილისს ვნებიახს, მივლენ ქალები მტკვარზე და წამით ბექის ნაპირზე გამოდგებიან. ელექტრო პალმებს ააფრიალებს, ზეცა იმსხვრევა ყვითელ შუშებათ, იძალებს შუქი და ტან-კენარებს თავის ჩრდილები ეხამუშებათ.

* * *

ახლა მე მინდა, ჩავიძინო ისეთი რამე — პოეტსაც არ ეპატიოს. მერე მინდა დავიხრჩო თავი, რომ მოხდეს კატაკლიზმო. მე თანდათან ვსწავლობ უსიტყვო ლაპარაკს, ეს პოეტების საკუთარი საიდუმლოებაა. ვკითხულობ რაბიდრანატ ტაგორეს ყოველ დილით და ვაგინებ სიჭკვიანეს. მაშინებს დღე და ღამის შეხვედრა. ამ დროს ვსვამ ლუდს ჩემზე შეყვარებულ ლუდის გამყიდველ ქალთან (ქართველობას რომ ნატრობს ჩემი გულისათვის). მერე წარიყალაზე ხელში გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსებით“...



ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი, 1939 წ.

ჩანაწერები

X—ს

ფიქები მეხლართება ერთმანეთში. გზა ვინროა. ჰაერი ცოტაა. ყველაფერი პატარად იცქირება ჩემს თვალში.

ჰორიზონტები უბრალო ხაზებია (ცარცის თვალი დაფაზედ).

მთვრალი არ გეგონოთ არავის. და თუ ფეხები მეხლართება ერთმანეთში, ეს იმის ბრალია, რომ შენ დაგინახე.

რომ შენს ახლოს გამოვიარე.

მზე ფეხებზედ დადგა. ნიავი შრიალებს ჩალასავით. ღრუბლები შექარვულან.

შეხედე, ფოთოლი ფოთოლზედ ილურსება. ღრუბელი ღრუბელს ებლაუჭება.

ყველა ტოლს ეძებს. ყველა მეორეს ელოლიავება. მე კი მინდა, შენ მოგეაღერსო.

ასე, ჰო, ასე!.. ნუ იწვევ იქით, ნუ აბრიალებ თვალებს!.. [ნუ] მეტყვი, რომ გეშინია!..

[ხომ] გესმის როგორ რიტმიულად მოძრაობს [...] მკერდის ქვეშე?!

როგორ გასათნოვდნენ ჩემი თვა(ალები), [...] ცახცაცებს ჩემი ტანი.

[მამ], ვისი გეშინიან?!

[მამ], რისი გეშინიან?!

დახუჭე თვალები და მოდი ახლოს, მომეკარი მკერდზედ, რათა აღარ აირიოს სიარული, რათა აღარ დაჰატარავდნენ საგნები ჩემს გარშემო და ხაზები გადაიქცნენ ჰორიზონტებად.

ცოტაა ეს ჰაერი. პატარავდებიან ეს მთები, ეს ველეები. ყველაფერი ირყევა. ფეხები იხლართება ერთმანეთში... მაგრამ მე არა ვარ მთვრალი, მე მხოლოდ შენ დაგინახე...

ხალსახოცის ნაფლეთაი

გზაზედ შემხვდი და შეხვედრამდე ვფიქრობდი შენზე.

მე ვიცოდი, უნდა შემხვედროდა ვილაც შენ-დარი და ეჭა, შემხვდი შენ!..

შემხვდი და შეხვედრამდე ვფიქრობდი შენზე. მიცქეროდი შორიდანვე ირიბ ნარბებიდან, და მე როდესაც თვალეში ჩახედე, გაგნითლდი, როგორც პატარა ბავშვი, რომელსაც ცუდს საქციელზედ მოასწრეს. მე, სახლში მისულს, არ ამომინვია ჩემს მკერდზედ შენი სახელის ოთხი ასო ცხელი ქინძისთავით. არ დამინერია შენზედ ლექსი ჩემი საკუთარი სისხლით (ლექსი ვერ იტყოდა ყველაფერს).

მე არ მიფიქრია შენზე (ფიქრი ვერ აგიშენებდა ღირსეულ სასახლეს).

მე მხოლოდ ამოვიოხრე.

მე ხშირად გხვდები, ვაკვირდები ირიბ წამწამებს, თვალეში აღარ მიცქერიან ასე ნაწამებს. აღარც [...] მიღიმის. მე კი, წინანდებურად ვწითლდები, [...] ვოხრავ შენ მისული.

[...]

დამშორდი ისე, ხმაც არ გამეცი... ნახველი ისე, არც გამიღმიე.

ხელსახოცი დავხიე სიბრაზით, მაგრამ შენი ნაჩუქარი კი არა...

აბა, რას ამბობ! იმას როგორ გავიმეტებდი.

მაგრამ მე მივხვდი:

შენ განგებ გინდა, დაბრმავდე, შენ განგებ არ გსურს, მოისმინო ჩემი გულის-ცემა. შენ განგებ არ გინდა, დაინახო ჩემი სინითლე.

და იცი?! დედას გეფიცები, ხანდახან მგონია, რომ შენ მართლაც ბრმა ხარ...

რომ შენ უბრალო ჯოჯო ხარ და მეტი არაფერი.

პუბლიკაცია მოამზადა ეკატერინე ბრიზოლიამ

გამომცემლობა

ინგრიდ დეხრავე:

„აქ ბევრი სირთულაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვცდილობ, რასაც ვაკეთებ, ყველაფერი ქართული იყოს“



გამომცემლობა „ლინკის“ დამფუძნებელი და დირექტორი ინგრიდ დეხრავე ბელგიელია. ის თბილისში ცხოვრობს და ძალიან მრავალფეროვანი, საინტერესო საქმეებით არის დაკავებული: მოიძიებს მისთვის საინტერესო ლიტერატურას, თარგმნის, გამოსაცემად ამზადებს, მართავს შეხვედრებს ავტორებთან, მხატვრებთან, აცნობს საზოგადოებას მათ ნამუშევრებს. საგამომცემლო და ლიტერატურული საქმიანობის გარდა, აქტიურად მუშაობს სტუდენტებთან, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიდერლანდური კულტურის ცენტრს ხელმძღვანელობს, დაკავებულია თანამედროვე ხელოვნების ცენტრითაც... ზოგადად — აკეთებს იმ საქმეს რაც იცის, რაც მოსწონს, იზიდავს. ქართულად საუბრობს გამართულად, უხვი ლექსიკით. ჩანს საკმაოდ კარგად იცნობს ყველაფერს ქართულს — ისტორიას, კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურას, ხასიათს, ჩვევებს — კარგასაც და ცუდასაც. უკვე ათი წელია, რაც საქართველოშია.

— საქართველოში საქმიანობა ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის დაარსებით დაიწყეთ?

— დიახ, პრინციპში ამით დავიწყე. 1999 წელს პირველი სტუდენტები მივიღე. საკმაოდ ბევრი — დაახლოებით ოცდაათი სტუდენტი მყავდა. თავიდან, ცხადია, ყურადღებას ენის სწავლებაზე ვამახვილებდი, რადგან საქართველოში არ არსებობდა სხვა ადგილი, სადაც ნიდერლანდურის შესწავლას შეძლებდი. შემდეგ სხვა მიმართულებებიც გამოიკვეთა, ცენტრის საქმიანობა უფრო გამდიდრდა. თანდათან გადავედი თარგმანზე, დავიწყეთ ფესტივალების გამართვა... და ცენტრი იქცა ჭიშკრად ნიდერლანდურენოვანი კულტურისთვის, ერთგვარ ხილად გაიდა ქართულ და ბელგიურ-ნიდერლანდურ კულტურებს შორის. დღეს ხშირად ვინვევთ იქაურ მწერლებს, კინორეჟისორებს, მხატვრებს, მეცნიერებს... და პირიქით, ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი ქართველი ლიტერატორი თუ ხელოვანი ჩავიდა მათთან. თავიდან, ბელგიაში ან ნიდერლანდებში უფრო სტუდენტები, ენის შემსწავლელ საზაფხულო კურსებზე მიემგზავრებოდნენ, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობდნენ. ბოლო სასწავლო კურსს კი იქაურ უნივერსიტეტებში ვადიოდნენ, საკუთარი ინტერესის მიხედვით ირჩევდნენ სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებას და ერთი ან ორი სემესტრის მანძილზე ძალიან სერიოზულად იღრმავებდნენ ცოდნას. მეც ჩართული ვიყავი ამ პროცესში, ერთად ვარჩევდით მიმართულებებს. უკვე კარგად ვიცნობდი თითოეულს და ბელგიაში ან ნიდერლანდებში მათთვის შესაფერ უნივერსიტეტებს ვეძებდი... ეს დღემდე ასეა.

— თქვენ თვითონ რა პროფესიის ხართ?

— მთარგმნელი ვარ, ფრანგულიდან და გერმანულიდან ვთარგმნი. ვსწავლობდი ბელგიაში, ანტვერპენის უნივერსიტეტში. ბოლო კურსზე სპეციალობად ლიტერატურული თარგმანი ავირჩიე. შემდეგ გავაგრძელე ლიტერატურათმცოდნეობის შესწავლა. ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო, იმიტომ რომ მეცადინეობა, პროგრამის მიხედვით, ოთხ სხვადასხვა უნივერსიტეტში მიმდინარეობდა; ბელგიაში, და სხვა ქვეყნებშიც, ყველა უმაღლეს სასწავლებელს თავისი იდეოლოგია, მიმართულებები, ტრადიცია გააჩნია. ჩვენთან,

მაგალითად, უძველესი კათოლიკური უნივერსიტეტებია, ანუ იქ რწმენა, რელიგია ძალიან მნიშვნელოვანია. არსებობს ლიბერალური უნივერსიტეტებიც, რომელიც ჰუმანისტურ იდეოლოგიას ეფუძნება, ხალხი მას მასონების უნივერსიტეტებს უწოდებს, სხვაგან უფრო მემარცხენე მიმართულებას ირჩევენ, ჩვენ მას სოციალისტურ უნივერსიტეტებს ვეძახით. მართალია, ისინი კომუნისტები არ არიან, მაგრამ მემარცხენე პოლიტიკას ატარებენ... მოხდა ისე, რომ ჩემს მიერ არჩეული ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო პროგრამა ამ სხვადასხვა სასწავლებელში უნდა გამეგელო. ძალიან მაინტერესებდა ამ ერთმანეთისგან განსხვავებულ სამყაროებში შესვლა. როცა სწავლობ, გარკვეულ პროგრამას გადიხარ, ეს განსხვავება მიდგომებში, მსოფლმხედველობაში ძალიან შეიძინე. თუმცა, მკვეთრად გამოხატული არ არის, ისინი ჩვეულებრივად ადამიანები არიან — თავისი საგნის ღრმად მცოდნენ, კარგი სპეციალისტები. ამიტომ ძალიან შედეგიანი იყო ის ოთხი წელი, ძალიან დავაფასე.

— საქართველოში რომ ჩამოხვედით ქართული უკვე იცოდით?

— არ ვიცოდი. ქართული ანბანის შესწავლა ბელგიაში დავიწყე. რასაკვირველია, როცა ენის შესწავლა გინდა, ანბანით იწყებ. პირველად ქართულ ასოებს რომ შევხედე, ძალიან რთულად მომეჩვენა. თავიდან ძალიან დავიტანჯე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერი იყო, ვახერხებდი. ანბანი დამოუკიდებლად შეგიძლია ისწავლო, შემდეგ კი, როცა სიტყვები იწყება...

— როცა ზმნა იწყება...

— ჩემთვის ზმნა დღემდე სუსტი ნერტილია. ალბათ ასევე ყველა უცხოელისთვის, რომელიც ქართულს სწავლას გადაწყვეტს. თუმცა, ამავე დროს, ზმნა ძალიან საინტერესოა. ის თითქოს ქართული ენის გულია. ვფიქრობ, ზმნაში ქართული ხასიათი ჩანს. წესიერ და არანესიერ ზმნებთან დაკავშირებით ვამბობ ხოლმე: წესიერი ზმნა ქართულში გამოხატულია, უწესო კი — წესიან-თქო...

— „ლინკი“ როდის დაფუძნეთ?

— ნიდერლანდური კულტურის ცენტრის დაარსებიდან რამდენიმე წელში, 2001 წელს.

— სახელწოდება როგორ შეარჩიეთ?

— როცა რაღაცის დაარსებას გადაწყვეტ, იწყებ ფიქრს, თუ რა სახელი მოუხდება. რაღაცნაირად, შთაგონებით თამაშობ, სიტყვებს არჩევ. ეს ძალიან შემოქმედებითი, საინტერესო პროცესია. ასე იყო „ლინკის“ შემთხვევაშიც. მართალია გამომცემლობა საქართველოში დაფუძნდა, აქაურ მოთხოვნილებებს ითვალისწინებს და აქედან გამომდინარე საქმიანობს, მაგრამ ის თავიდან ბოლომდე ქართული გამომცემლობა არ არის, რადგან მე უცხოელი ვარ და ბევრ საკითხს ალბათ სხვაგვარად ვუყურებ, სხვანაირი იდეები მებადებს. „ლინკიც“ უცხო სიტყვაა, თითქოს ბუნებრივადაც უღერდა, ვიფიქრე: „რატომაც არა, იყოს ეს სიტყვა“. თანაც, ის ინგლისურ ენაზე „კავშირს“ ნიშნავს. ზემოთ, სწორედ კულტურებს შორის კავშირსა და ხიდის ფუნქციაზე ვსაუბრობდი... ამ სიტყვას ნიდერლანდურ ენაზეც აქვს შესატყვისი, თუმცა მისი ნიდერლანდური მნიშვნელობა ბევრმა არ იცის — „ლინკი“ ნიშნავს ცელქს, მაგრამ თანაც გონიერს, ჭკვიანს... მოკლედ, გამომცემლობისთვის სახელის შერჩევა უფრო თამაშის დონეზე იყო.



„ლინკმა“ გამოსცა.

— ეს ნიგნი რატომ აირჩიეთ?

— იოკე ვან ლეუვენი ძალიან ცნობილი მწერალია, მისი ნიგნები მრავალენაზეა თარგმნილი, უამრავი ჯილდო აქვს მიღებული. ძალიან თავისებური ავტორია, ის წერს და თან ხატავს, მაგრამ მისი ნახატები ტექსტის ილუსტრაცია კი არ არის, არამედ მოთხრობლი ამბის ნაწილია, მის გარეშე ვერ წაიკითხავ. ეს ძალიან საინტერესო და ცოცხალი ფორმაა თხრობისა.

როცა ნიგნი ითარგმნა, დავიწყეთ ფიქრი მის გამოცემაზე. ვეძებდი ქართველ გამომცემელს. ამ ძიებაში გართულს, გამიჩნდა სურვილი, ეს პროცესი თავიდან ბოლომდე თვითონ გამეგელო. თან, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორ გამოიყურება ნიგნი. მივხვდი, რომ თუ დავაარსებდი გამომცემლობას, მომეცემოდა სრული თავისუფლება მეზრუნა მის გარეგნულ მხარეზე. დავიწყე ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა მხატვრებთან, დიზაინერებთან, ფოტოგრაფებთან. ძალიან მახარებს, რომ არამხოლოდ შინაარსობრივად, არამედ ფორმითაც კარგი ნამუშევრები გამოვიდა. იმის თქმა მინდა, რომ გამომცემლობის დაფუძნება ცივი გონებით გათვლილი ნაბიჯი კი არ იყო, არამედ ბუნებრივი შედეგი, გაგრძელება ჩემი საქმიანობისა. ასეთი მიდგომა მქონდა: კარგია თუ ამის გაკეთებას შეეძლებ და საზოგადოებას საინტერესო ლიტერატურას შევთავაზებ, გავაცნობ.

— პირველი ნიგნის გარდა, კიდევ რომელ პროექტს გამაარჩევდით?

— ყოველი ნიგნის გამოცემა ბავშვის დაბადებასავითაა. ჩვენი საუბრის დასაწყისში ვთქვი, რომ „ლინკი“ ძალიან პატარა გამომცემლობაა.

— „პატარაში“ რას გულისხმობთ?

— ყოველწლიურად ბევრ ნიგნს არ გამოვცემთ. თითოეული ნიგნი ცალკე პროექტია, მისი გამოცემისთანავე ახალი პროცესი იწყება — ვეპატივებით ავგორს, ვუმართავთ შეხვედრებს სტუდენტებთან, ქართულ საზოგადოებასთან. ანუ, ნიგნის გამოცემით საქმე არ მთავრდება, ნიგნი რაღაც უფრო დიდი ამბის ნაწილია. ამიტომ ვამბობ, რომ „ლინკი“ ცოტა თავისებური გამომცემლობაა. ფინანსურადაც — ალბათ ესეც საინტერესოა — ჩვენი გამოცემები მომგებიანი არ არის, ძირითადად არაკომერციული პროექტებია. იცით, რატომ? როცა ნიგნს ამზადებ, უამრავი ხარჯი გაქვს. მე არ ვფიქრობ, როგორ დავნო ფასი, რომ მოგება განზარდოს. ვფიქრობ, როგორი ნიგნი მინდა გამოვცე და ამის შემდეგ ვიწყებ თანხების მოძიებას — ჩვენ მხოლოდ გრანტებისა და სხვადასხვა ფინანსური მხარდაჭერის საშუალებით გამოვცემთ ნიგნებს. არ ვამბობ, რომ ეს სწორი გზაა, უბრალოდ ასე მოხდა, ასე განვითარდა. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია გამოვცე ისეთი ნიგნი, რომელშიც ჩავდებ ენერჯიას, შრომას, მოთმინებას, ვიდრე წელიწადში გამოვუშვა ორმოცდაათიდან ას ნიგნამდე და ეს იყოს მხოლოდ შემოსავლის წყარო. რა თქმა უნდა, ასეთი გამომცემლობებიც არსებობს. შესაძლოა ასე იმიტომ აკეთებენ, რომ მათთვის ეს შემოსავლის ერთადერთი წყაროა, ან უბრალოდ ასე უყურებენ ამ საქმეს. ჩემთვის ეს შემოქმედებითი პროცესია. მიხარია, რომ ამის ფუფუნება მაქვს. ქალაქი, ფერები, ფორმა, ფორმატი — ყველაფერი გათვლილია და ისე მზადდება, თითქოს ცოცხ-



გულნარა ბახტაძე

პოეტის ერთი დღე

ახლახან გამოცემილი „ვეფხისტყაოსანმა“ გამოსცა ნიგნი – „მოგონებები, წერილები, ლექსები სიმონ ჩიქოვანზე“. ნიგნის გარეკანს ამშვენებს მაღალმხატვრულად შესრულებული ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილია პოეტი იებით ხელში. სამწუხაროდ, პორტრეტის ავტორის ვინაობა უცნობია. ეს ფოტო და სურათების მთელი სერიალი ბატონ სიმონ ჩიქოვანზე, ნარკვევით – „უკანასკნელი პორტრეტი“ - დაიბეჭდა ჟურნალ „დროშის“ ერთ-ერთ ნომერში. ავტორი გახლდით მე. თავის დროზე ფოტონარკვევმა მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა. თავად პოეტმაც გაიხარა: რადენჯერაც დარეკავდა ჟურნალის რედაქტორთან - ბატონ გიორგი ნატროშვილთან, იმდენჯერ მადლიერებით მიხსენებდა. მე – ფრთაშესხმული ვიფერებდი ამას. ეს ფოტონარკვევი არც ტელევიზიის მესვეურებს გამორჩენიათ მხედველობიდან და სულ მალე ტელეეკრანზე გაცოცხლდა მხატვრული ნარკვევი „უკანასკნელი პორტრეტი“. გადაცემის ავტორი და წამყვანი აქაც გახლდით მე. ამ გადაცემასაც დიდი მოწონება ხვდა წილად. დღეს, არ ვიცი, ვის გამორჩა ახლად გამოსულ ნიგნში ის ნარკვევი, სადაც თავმოყრილია უამრავი მოგონებები პოეტზე, ნიგნის შემდგენელს თუ შინაურებს? დარწმუნებული ვარ, ქალბატონი მარიკა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მიუჩინდა ამ ნიგნში ადგილს ჩემს ნარკვევს, რადგან რაც ბატონ სიმონს მოსწონდა და უხაროდა, მოსწონდა და უხაროდა ქალბატონ მარიკასაც. და მაინც, ალბათ ჩემი დაუდევრობის ბრალია, ასაკის ბრალია, ვერ მივაღწევთ თვალი ლიტერატურულ ცხოვრებას – დამნაშავედ ვგრძნობ თავს! ძვირფასო რედაქციავ, იქნებ მიხსნათ ამ უკმარისობისაგან და თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ნიგნში გამორჩენილი ჩემი ნარკვევი პოეტ სიმონ ჩიქოვანზე – „პოეტის ერთი დღე“.

პრტიხეულ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილს ვენვით ვე ვთხოვე „დროშის“ მკითხველისათვის მომავალ შემოქმედებით გეგმებზე მოეთხორო. „ყოველთვის მალეღვებდა და სიმონ ჩიქოვანის პოეზია, მისი ღრმააზროვანი და გულწრფელი სტილიკონები. წლებს მანძილზე თან მსდევდა მისი ლექსების განუმეორებელი ხიბლი და რაც დრო გადის, სულ უფრო მიძლიერდება სურვილი, პოეზიის ეს განწყობილება მუსიკის ენაზე ავამეტყველო. განზრახული მაქვს შევქმნა ორატორია სიმონ ჩიქოვანის ლექსებზე“, - დაპირდა ჩვენი ჟურნალის მკითხველებს კომპოზიტორი.

განვლო ოთხმა წელმა, ქართულ ორატორულ მუსიკას შეემატა კიდევ ერთი ახალი ნაწარმოები - ოთარ თაქთაქიშვილის „ჩაუქრობელი კერა“, სოლისტების გუნდისა და ორკესტრისათვის.

ორატორია პირველად აჟღერდა მოსკოვის კონსერვატორიაში, დიდ დარბაზში, საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრისა და გუნდის შესრულებით, რომელსაც ოდისი დიმიტრიადი დირიჟორობდა. კომპოზიტორის ახალმა ნაწარმოებმა მოსკოველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ ამბავმა ღირსეული გამოხმაურება ჰპოვა ქართულ მუსიკალურ საზოგადოებაში. არანაკლებ გაახარა ქართული პოეზიის მოყვარულნი, სიმონ ჩიქოვანის პოეზიის მრავალრიცხოვანი თავყვანისმცემლები, მისი მეგობრები.

მაგრამ განა შეედრებოდა ვისმეს სიხარული თავად პოეტის სიხარულს, იმ ადამიანის სიხარულს, რომელსაც დღითიდღე ელეოდა ჯანმრთელობა? ხედავდახსული, სარეცელს მიჯაჭვული პოეტი ორატორიის დამთავრებას იმ გულისძგერით შეეგება, ჭაბუკობის ჟამს პირველმა ლექსმა რომ აგრძნობინა.

თვალში სინათლეჩამქრალს გულში პოეზიის ცეცხლი არასოდეს განსრულებია. სიცოცხლის მოტრფიალე პოეტი სულს განშრობებამდე იღვწოდა, შრომობდა, როგორც ფუტკარი, წერდა დიდი შთაგონებით, ერთგული მეგობრის მარიკა ჩიქოვანის მზრუნველობის მეოხებით. ქალბატონ მარიკას ქალღმერთად გადაჰქონდა მეუღლის ნაკარნახევი, ის შესანიშნავი ლექსები, რომლებსაც შემდეგ ჩვენ ვკითხულობდით.

პოეტისაგან დიდად დავალეული, მადლობის გრძობით აღსავსე კომპოზიტორი მოსკოვიდან დაბრუნდა თუ არა, მაშინვე დაუკავშირდა მას, მიულოცა ორატორიის წარმატება და შეჰპირდა, რომ იმ დღესვე ესტუმრებოდა, მოსკოვის სიმფონიური ორკესტრის ჩანაწერს მოასმენინებდა.

ამ ამბის გაგებას პოეტს ძალა შეემატა. ზეზე წამოიჭრა, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და მეგობრებს ჩამოუწერა. მათ შორის ცნობილ ქართველ მწერალს, კრიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, იმხანად ჟურნალ „დროშის“ რედაქტორს გიორგი ნატროშვილს. ახარა საკუთარი ლექსების მუსიკის ენაზე აჟღერება. ბატონმა გიორგიმ მიხმო მე და ფოტოჟურნალისტი ოთარ თურქია და გვთხოვა დაესწრებოდით პოეტისა და კომპოზიტორის თავშეყრას, რომ შემდგომ ჟურნალში გაგვეშუქებინა „პოეტის ერთი დღე“.

შეხვედრა სიმონ ჩიქოვანთან ხომ ყველას გვიხარობდა.

მახსოვს, გარეთ თებერვლის საამო დღე იდგა. გმირთა მოედანზე პოეტის სახლის სადარბაზოსთან ბიჭუნა იდგა და ყვავილებს ყიდდა. მე იები ვიყიდე და პოეტის სახლს მივაშურეთ.

კარი ქალბატონმა მარიკამ გაგვიღო. დალილი ღი-

მილი შემოგვაგება, შინ შეგვიპატიჟა და მეუღლეს გასძახა, ჩვენი მისვლა აუწყა. ეს სათნო ქალი მეუღლეს სტუმრის სახელს განგებ გააგონებდა ხოლმე, რომ მისთვის თვალის ღალატი არ ეგრძნობინებინა.

ბატონი სიმონი ფანჯარასთან მიდგმულ დიდ მრგვალ მაგიდასთან იჯდა და რალაცას ჩაჰკირკიტებდა. - ლექსებს ვარჩევთ ახალი კრებულისათვის, - გვითხრა ქალბატონმა მარიკამ და მეუღლეს შეეხმინა.

პოეტი ადგა, ჩვენსკენ წამოვიდა, მხიარულად მოგვესალმა.

იები მივართვი ბატონ სიმონს. პოეტმა იის სურნელი მაშინვე შეიგრძნო, დაყნოსა, გაიხარა, - ია მოსულაო - წამოიძახა!

ზარის ხმა გაისმა. ოთახში სიმონ ჩიქოვანის ყრმობის მეგობარი, პოეტი ნიკოლოზ ჩაჩავა შემოვიდა. უფრო გახალისდა მასპინძელი. მოყვენ მეგობრები აქაურს, იქაურს. ვინ არ გაიხსენეს. მაგრამ პოეტის ფიქრი და გონება ორატორიის გარშემო ტრიალებდა.

ოთარ თაქთაქიშვილმა ორატორიამდე სიმონ ჩიქოვანის ლექსებზე რვა რომანსი დაწერა. მასპინძელი რომანსებზე მოყვა საუბარს, მელოდიაც კი წაილილია.

სიმონ ჩიქოვანს ფართო ერუდიცია, მაღალი პოეტური კულტურა, გემოვნება უფლებას აძლევდა თავისი ნატიფი სიტყვა ეთქვა არა მარტო ლიტერატურაზე, ემსჯელა თეატრზე, მუსიკაზე, მხატვრობასა და საერთოდ ხელოვნებაზე, რომელიც ძალზე ნაცნობი და ახლობელი იყო მისთვის. იგი გატაცებით ყვებოდა რომანსებზე.

გუტქერდი მის მკრთალ ფიქრიან სახეს, სანთლისებრ თითებს და რუსი მწერალი კონსტანტინე ვანშენიკინი გამახსენდა, რომელმაც ერთხელ პოლონეთში ერთად ყოფნისას ამგვარად აღიქვა პოეტი:

„არწივი, ძლიერი, ლაღი, თავისუფლებისმოყვარე, მაგრამ ჯანგატყეხილი, დაღარდიანებული“.

ისევ გაისმა ზარის ხმა.

— ეს ოთარია! - წამოიძახა პოეტმა.


კარებში, მართლაც, ოთარ თაქთაქიშვილი იდგა, იგი მარტო არ იყო, ორი ახალგაზრდა ახლდა. სამივემ ერთად ლითონის ვეებერთელა ყუთი ოთახში შემოიტანეს და პოეტის ფერხითი დადგეს. ჭაბუკებმა სწრაფად გამართეს ყუთი, პოეტი გვერდით მიუჯდა კომპოზიტორს. ჩართეს მაგნიტოფონი და ოთახი მუსიკის ჰანგებით გაივსო. სანთლებივით აციმციმდნენ ლექსები და პოეტიც აენტო. სრულდება ორატორიის ნაწილი: „ვინა სთქვა“.

პოეტს, ხომ მამულმა შთაბერა ქარიშხლის სული, მამულის სიყვარულმა ასწავლა პოეზიის სიყვარული:

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

გაისმა ხოტბა მშობლიური ქვეყნის სილამაზეზე, მღერის გუნდი და პოეტის ცნობიერებაში კვლავ აღდგა ცამდე აწვდენილი ციხე-კოშკის ქონგურები, ქართველი კაცის მარჯვენით აგებული, ფრესკებითა და ჩუქურთმებით დამზევენებული მონასტრები და ციხე-დარბაზები, თავგანწირულ გმირთა სახელები. პატარაა საქართველო, მაგრამ დიდია იგი სახელმწიფოეჭილი გმირებით, სულიერი სიმდიდრით, შემართებით, სიჩაუქით.

დამთავრდა პირველი ნაწილი, დაიწყო მეორე. აგერ ჩამოჰქრეს ჩონგურს, აკვენსდა დედა, პოეტს ნალველი



დაეტყო სახეზე... მწუხარე ხმით მოთქვამს დედა:

ყაყაჩო ჰყვავის ლამაზი, მკურნალობს გულზე იარას, ორი ვაჟკაცის საფლავზე მზემ ზღვისკენ გადობრიალა.

ყაყაჩოს ცეცხლი ჰგონია, მიმწუხრში ელავს მდელით, და ამბავს მკითხავს, გგონია, საყვარელ საქართველოზე.

დედის სიმღერა უცებ რიტმულად გამოკვეთილმა მრისხანე ჰანგმა შესცვალა - სრულდება „ომის ზარები“. პოეტი ახლა ფართოდ გახელილი თვალებით, დაძაბული უსმენს გუნდს, თვითონ ხომ თავად იყო აქ, საკუთარი თვალთ იხილა ნგრევა და სიკვდილი...

ბაქსანის ნაპირზე მეც სული მივაგდე, ველზე დაღენილი ინვა ლექსაშელი... წყალი მოითხოვა, პეშვიტი მივეტანე, არ დამხვდა ცოცხალი, სული დალეოდა, ველარ მივესწარი, ველარ ვანეტარე. მოკვდა ლექსაშელი, აღარ დამელოდა... თურმე ძმა მყოლია და იგი მომიკლეს, როგორ მეცნაურა სიკვდილის წუთებიც, მთის ერთი გუდიდან მოვედი ორივე, მამულის სიცოცხლეს ღამეებს ვუთვედით.

მამაც მეომარ ლექსაშელს ოთარ თაქთაქიშვილმა ცალკე ბალადა მიუძღვნა. ოთახი ახალი ჰანგით აივსო. ამჯერად კომპოზიტორი ომის ქარცეცხლიდან გმირ წინაპართა სამყაროშია - ქართველი კაცი ბრძოლის ველზე წინაპრებს იხსენებს. აჟღერდა სიმონ ჩიქოვანის „არმაზის აჩრდილებიდან“ საგალობლის ტექსტზე დაწერილი „სერაფიტა“. მუსიკამ პოეტი ახლა სულიერად აამაღლა, სულ სხვა სამყაროში გადაიყვანა...

მშვენიერო რტოვ არმაზის! მოველე მცხეთა და ქინძარი. შენ ცხადი ხარ თუ სიზმარი, თუ მძინარეს მოვისწარი!

წრფელმა ჰანგებმა პოეტი ააღელვა, აღტაცება ვეღარ დამალა, თვალზე ხელი მიიფარა:

— მშვენიერია, ჩემო ოთარ, დიდებულია. დიდი აღმაფრენით გაქვს დაწერილი, ფორმაც კლასიკურია, ეროვნულიც არის და მელოდიურიც!

წუთიერი სიჩუმე საყვირებმა, დაფდაფებმა შეცვალეს. ისევ ომის სურათი... ოღონდ ახლა მქუხარე დაფდაფები გამარჯვების ზეიმს გვაუწყებენ!

ჩვენმა ქვეყანამ შური იძია მტერზე - ჩვენ გავიმარჯვეთ! ხალხი გამარჯვებას ზეიმობს!

ფირი დაილია. მიწყდა მუსიკის ჰანგები... მერე ყველანი სუფრას მივუსხედით. ქალბატონი მარიკა ჩვეული გულუხვობით გემასპინძლობდა.

ეს იყო პოეტისთვის ერთ-ერთი სამახსოვრო დღე იმ უკანასკნელ დღეთაგან, პირველი და უკანასკნელი მოსმენა სიმღერადექცეული თავისი ლექსებისა. ეს იყო მისი უკანასკნელი პორტრეტი, რომელიც ასე მაღალმხატვრულად აღბეჭდა თებერვლის ერთ მზიან დღეს ცნობილმა მესურათხატემ ოთარ თურქიამ.

ლიტერატურული გაზეთი
 გამოდის საქართველოს კულტურის, აკადემიის და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
 რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტები ხათუნა აღსაზიშვილი, თამარ ჟურული
 ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com